პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 30 ივნისი, 1946 წ. № 130 (7603). ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს  გ ა ზ ე თ შ ი:

დავაჩქაროთ თივის აღება და პირუტყვის საკვების დასილოსება. მოწინავე (1-ლი გვერდი).

საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის XXIV კონფერენციის მისალმებანი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. კ. ნ. ჩარკვიანს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ნ. ა. მიხაილოვს (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (მე-2 გვერდი).

ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება ახალ ხუთწლედში (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-3 გვერდი).

სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით (მე-3 გვერდი).

პოეტი—ანასტასია ერისთავ-ხოშტარია (მე-3 გვერდი).

საბჭოთა საქართველოში (მე-4 გვერდი).

„ოთხთა კონფერენციის" გარშემო (მე-4 გვერდი).

## დავაჩქაროთ თივის აღება და პირუტყვის საკვების დასილოსება

მეცხოველეობის აღმავლობის გადაუწყვეტი პირობა მტკიცე საკვები ბაზის შექმნაა. ამიტომ მეცხოველეობის მუშაკთა ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს სწორედ საკვები ბაზის გაფართოება და განმტკიცება წარმოადგენს.

მეცხოველეობის განვითარების 1946 წლის გეგმის შესრულებისათვის, პირუტყვის საკვების საკმაოდ მომარაგებისათვის წელს განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები გვაქვს. ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბალახის უხვი მოსავალია. ამასთან მნიშვნელოვნად გადიდდა ნათესი ბალახების ფართობი. მაგრამ შეიძლება ეს ხელსაყრელი პირობები ხელიდან გავუშვათ, თუ მუშაობა ისე გაგრძელდა, როგორც დღემდე სწარმოებს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ რაიონში ბალახი უკვე გადამწიფებულია, თიბვა ნელი ტემპით მიმდინარეობს. ავიღოთ საგარეჯოს რაიონი. აქ თივა ასაღებია 7 ათას ჰექტარზე, 25 ივნისისათვის აღებული იყო მხოლოდ 718 ჰექტარი. თივის აღება ჩამორჩა კასპის, სიღნაღის, თბილისის, წითელწყაროს, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, მცხეთის, ბორჩალოსა და ბოლნისის რაიონებში. მეტიც, დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ქარელისა და გორის რაიონებს 25 ივნისისათვის თიბვა დაწყებულიც არ ჰქონდათ.

რით შეიძლება აიხსნას ეს ჩამორჩენა?

მხოლოდ იმით, რომ მთელი რიგი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები სათანადოდ არ აფასებენ ამ საქმეს, ფიქრობენ, რომ ყველაფერი თვითდინებით გაკეთდება. ასეთ მავნე განწყობილებას სასტიკად უნდა შევებრძოლოთ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დღეებში მიიღეს დადგენილება, რომელიც თივის აღებისა და საკვების დასილოსების ორგანიზებულად ჩატარების კონკრეტულ პროგრამას წარმოადგენს. დაწესებულია ბუნებრივ სათიბებზე თივის აღების, სილოსის ჩადებისა და უხეში საკვების დაგროვების გეგმები და სამუშაოთა შესრულების ვადები. საჭიროა ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ ამ დადგენილების განუხრელად განხორციელებისათვის.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თივის ასაღები ინვენტარის — სათიბი მანქანების, ფოცხების, ცელების სრულ წესრიგზე მოყვანა და, რაც მთავარია, სათიბი მანქანების სრული დატვირთვით გამოყენება.

შემდეგ, აუცილებელია სწორად მოვაწყოთ შრომა თივის აღებასა და საკვების დასილოსებაზე. საჭიროა მთიბავთა ბრიგადები და რგოლები დავაკომპლექტოთ გამოცდილი მომუშავეებით, მოვაწყოთ კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და დამხმარე მეურნეობების მუშათა მასობრივი გასვლა ბალახის სათიბავად, დასაბულულებლად და დასაზვინავად.

თივის აღებასა და დასილოსებაზე კეთილსინდისიერად მომუშავე კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის დაწესებულია წამახალისებელი ღონისძიებანი. ადგილობრივი ორგანიზაციების ამოცანაა საფუძვლიანად გააცნონ მშრომელებს ეს წესები, რაც უდიდესი სტიმული გახდება თივის მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

თივის აღების სამუშაოები ახლა რაც შეიძლება ფართოდ უნდა გავშალოთ. ამოცანა ის არის, რომ ბუნებრივ სათიბებზე თივის აღება და დაზვინვა მთლიანად დავამთავროთ პურეულის მასობრივი აღების დაწყებამდე.

საკვები რესურსების გადიდებისათვის აუცილებელია მოვაწყოთ როგორც ბუნებრივი სათიბების, ისე ნათესი ერთწლიანი ბალახების მეორედ გათიბვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პირუტყვის საკვების დასილოსების გეგმის შესრულება. გარეული ბალახების სიუხვე ადრე დასილოსების დიდ შესაძლებლობას ჰქმნის. ეს შესაძლებლობა კარგად გამოიყენეს წითელწყაროს რაიონში, სადაც დასილოსებულია 4.243 ტონა საკვები. მაგრამ სილოსის ჩადება უმრავლეს რაიონებში ჯერ კიდევ არ არის გაშლილი. ესეც გვიჩვენებს, რომ ზოგან სათანადოდ არ ზრუნავენ ზამთრისათვის საკვების მეტი რაოდენობით მოსამარაგებლად.

საჭიროა სილოსის ჩადებას ამთავითვე ფართო მასშტაბით შევუდგეთ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ გარეული ბალახების მაქსიმალურად გამოყენებას ადრე დასილოსებისათვის, აგრეთვე მთლიანად გამოვიყენოთ დასასილოსებლად შაქრის ჭარხლისა და კარტოფილის ფოჩები, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების ნარჩენები. აუცილებელია უახლოეს დღეებში ყველგან დავამთავროთ სასილოსე ნაგებობათა რემონტი, ახალი სასილოსე ორმოებისა და თხრილების მშენებლობა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ამ საქმეში ადგილობრივი რესურსები.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები ვალდებული არიან განახორციელონ ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობა თივის უდანაკარგოდ აღებისათვის, უზრუნველყონ ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უხეში და წვნიანი საკვების დაგროვების გეგმის მთლიანად შესრულება.

ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეობის მუშაკთა შორის ფართოდ გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მალლა ავწიოთ საკოლმეურნეო მინდვრებსა და ფერმებში შეჯიბრების დროშა, შეჯიბრების მთელი ძალა წარვმართოთ თივის აღებისა და საკვების დასილოსების წარმატებით ჩასატარებლად.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### „ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებასთან დაკავშირებით ამნისტიის" თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 7 ივლისის ბრძანებულების 1-ლი მუხლის „გ" პუნქტის და მე-3 მუხლის „გ" პუნქტის რკინიგზისა და ტრანსპორტის მუშაკებზე გავრცელების შესახებ

„ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებასთან დაკავშირებით ამნისტიის" შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 7 ივლისის ბრძანებულების 1-ლი მუხლის „გ" პუნქტი და მე-3 მუხლის „გ" პუნქტი გავრცელდეს რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის იმ მუშაკებზე, რომელნიც მსჯავრდადებული იყვნენ ომიანობის დროის პერიოდში და განაჩენის სისრულეში მოყვანის ვადის გადადებით გაიგზავნენ ტრანსპორტზე სამუშაოდ, განთავისუფლებულ იქნან ისინი შემდგომი სასჯელისაგან და მოეხსნათ ნასამართლობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 26 ივნისი.

## საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანს

თბილისის კომკავშირული ორგანიზაციის XXIV კონფერენცია დედაქალაქის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის სახელით მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს — ჩვენს ხელმძღვანელსა და აღმზრდელს.

დღეს ჩვენ ვაჯამებთ უკანასკნელ წლებში გაწეულ მთელ მუშაობას, ვსახავთ მეოთხე სტალინური ხუთწლედის წარმატებით განხორციელების საქმეში დედაქალაქის კომკავშირისა და მთელი ახალგაზრდობის მონაწილეობის საბრძოლო პროგრამას.

მრავალფეროვანი და მდიდარია საქართველოს კომკავშირისა და მისი მოწინავე რაზმის—თბილისის ორგანიზაციის ცხოვრება და შემოქმედება, მისი საბრძოლო ტრადიციები. ყოველდღიურად ზრუნავს და ეხმარება რა ახალგაზრდობას, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მას ზრდიდა და ზრდის ლენინ-სტალინის საქმისადმი, სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულისა და თავდადების სულისკვეთებით.

კომუნიზმის საქმისათვის უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით ჩვენ აღგვზარდა და გამოგვაწრთო დიდი სტალინის უახლოესმა თანამებრძოლმა, ქართველი ხალხის საამაყო შვილმა, ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელმა მეგობარმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ.

დიადი ბოლშევიკური ტრადიციების ერთგული თბილისის კომკავშირული ორგანიზაცია შეუპოვარი და გულმოდგინე მუშაობით წარმატებით ასრულებს დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის მიერ კომკავშირის წინაშე დასახულ ამოცანას—ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის ამოცანას.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე თბილისის კომკავშირული ორგანიზაციის მიერ ათასობით და ათიათასობით გამოზრდილმა ისახელა თავი, დიდების შარავანდედით შემოსა წითელი არმიის საბრძოლო დროშები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად თქვენი ხელმძღვანელობითა და მზრუნველობით, ამხანაგო კანდიდ ნესტორის-ძევ, საქართველოს დედაქალაქის კომკავშირი დიდი სამამულო ომის პირველსავე დღეებში გამოვიდა ბოლშევიკური პარტიის მებრძოლ თანაშემწედ მთელი ჩვენი ცხოვრების სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნის საქმეში.

როდესაც ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ ძლევამოსილად დაამთავრა დიდი სამამულო ომი და სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ახალი, მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმა შეიმუშავა, თბილისის ახალგაზრდობა, საქართველოს მთელ ახალგაზრდობასთან ერთად, ახალი ენერგიით ჩაება მშვიდობიანი მშენებლობის საერთო ფერხულში, ყოველდღიურად, ყოველ საათობით იზრდება ახალგაზრდობის შრომითი ენთუზიაზმი დიადი სტალინური გეგმის ვადამდე, გადაჭარბებით შესრულებისათვის. კომკავშირელები სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდობის სტახანოვურ მოძრაობას ფაბრიკებში, ქარხნებში და უმაგალითო შრომითს აღმავლობას აღწევენ.

მტკიცე კომკავშირულ პირობას ვიძლევით, რომ ახალი ხუთწლედის მთლიანად, გადაჭარბებით შესრულებისათვის დავრაზმავთ საქართველოს დედა-ქალაქის ახალგაზრდობის მთელ ძალებს, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლითა და სტახანოვური მეთოდების გავრცელებით კიდევ მეტ წარმატებებს მოვიპოვებთ დედასამშობლოს საკეთილდღეოდ. ჩვენ ენერგიულად ვიმუშავებთ, რათა ყოველმხრივ განვამტკიცოთ პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები, გადაჭრით გავაუმჯობესოთ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და საორგანიზაციო მუშაობა.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საპატიოდ შევასრულოთ დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მოწოდებანი, დავეუფლოთ მეცნიერებას, კულტურას, შევიძინოთ მაღალი კვალიფიკაცია, რათა გამოვიყენოთ იგი ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) — ჩვენს ხელმძღვანელსა და აღმზრდელს!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის სახელოვან შვილს, საქართველოს ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობარს, დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, საყვარელ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბრძენ ბელადს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს მშობლიურ სტალინს!

მოსკოვი

## საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ნ. ა. მიხაილოვს

ძვირფასო ამხანაგო მიხაილოვ!

საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის XXIV კონფერენცია მხურვალე კომკავშირულ სალამს უძღვნის საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს და პირადად თქვენ!

მას შემდეგ, რაც მიღწეულ იქნა საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვება გერმანიის ფაშიზმსა და იაპონიის იმპერიალიზმზე, მზიური საქართველოს დედაქალაქის კომკავშირელები პირველად შეიკრიბნენ თავიანთ საქალაქო კონფერენციაზე.

დიდი სამამულო ომის წლებში თბილისის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, ცხადჰყვეს უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, იმისათვის მზადყოფნა, რომ მას მოახმარონ მთელი თავისი ძალღონე, მჩქეფარე ენერგია და თვით სიცოცხლეც.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში შევიდა, ქალაქის კომკავშირელები და ახალგაზრდობა ახალი ენერგიით შეუდგნენ მშვიდობიან შემოქმედებით შრომას, რომელიც ომით იყო შეწყვეტილი. საქართველოს კომკავშირის ბევრმა აღზრდილმა სახელოვანი წითელი არმიის რიგებიდან დაბრუნების შემდეგ ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებში თავდადებული შრომით უკვე მოიპოვა მოწინავის დამსახურებული სახელი სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც ახალი ძალით გაჩაღდა საწარმოებში მეოთხე სტალინური ხუთწლედის აღსანიშნავად.

დიდი მუშაობა გასწიეს თბილისის კომკავშირელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში. 1.500-ზე მეტი ახალგაზრდა აგიტატორი მუშაობდა საარჩევნო უბნებში, 216 კომკავშირელი იყო საარჩევნო კომისიების წევრი, 200-მდე კომკავშირული სამხატვრო აგიტბრიგადა გამოდიოდა ამომრჩევლების წინაშე.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმმა ჩვენი საყვარელი სამშობლოს ყველა კომკავშირული ორგანიზაცია შეაიარაღა მეოთხე სტალინური ხუთწლედის დიად სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის კონკრეტული გეგმით, დასახა უახლოესი პერიოდის ძირითადი ამოცანები.

დიდია თბილისის ახალგაზრდობის შრომითი აღფრთოვანება. კომკავშირელები ამჟამად დიდ საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან. ისინი აგიტაციას ეწევიან არა მარტო ბოლშევიკური სიტყვით, არამედ პირადი მაგალითითაც აღაფრთოვანებენ დანარჩენ ახალგაზრდობას.

380 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა დაუღალავად შრომობს ქალაქის საწარმოებში, ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. საქართველოს დედაქალაქის საუკეთესო სტახანოველთა შორის ცოტანი როდი არიან კომკავშირელები, ახალგაზრდები. ისინი თავიანთ ძალებს არ იშურებენ, რომ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი პროდუქცია მისცენ. შრომის ნაყოფიერების გადიდებით სტახანოველები ყოველნაირად ეხმარებიან ახალგაზრდა მუშებს დაეუფლონ ხელობას, სისტემატურად გადასცემენ მათ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას.

ქალაქის სკოლებში ჩატარებულმა გადასაყვანმა გამოცდებმა ცხადჰყო, რომ სასკოლო კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა, გაღრმავდა მოსწავლეთა ცოდნა, განმტკიცდა მათი დისციპლინიანობა.

თბილისის უმაღლესი სასწავლებლების საგამოცდო სესიები მოწმობენ, რომ სტუდენტთა ძირითადმა მასამ სწორად გაიგო ის ამოცანები, რომლებიც მას ახალმა ხუთწლედმა დაუსახა. გაცილებით უფრო ღრმა გახდა სტუდენტთა ცოდნა, ამაღლდა მათი იდეურ-პოლიტიკური დონე, უფრო საინტერესო და მრავალმხრივი გახდა სამეცნიერო წრეებში მუშაობა.

საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის XXIV კონფერენციამ, რომელმაც შეაჯამა განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობა და გამოამჟღავნა მასში არსებული ნაკლოვანებანი, დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე მდგომი ყველა ამოცანის წარმატებით შესრულების უზრუნველყოფისათვის.

თბილისის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა ახალგაზრდობა კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას და მთელ ძალღონეს მოახმარს შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივ ამაღლებას, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის გადიდებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

ახალგაზრდა მუშები და სტახანოველები თავიანთი დაუღალავი შრომით ღირსეულ წვლილს შეიტანენ მეოთხე სტალინური ხუთწლედის დიად სამუშაოთა გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში. მოსწავლე ახალგაზრდობა — სტუდენტები, მოწაფეები ბეჯითად დაეუფლებიან ცოდნას, მეცნიერებას, კაცობრიობის მიერ დაგროვებულ მთელ კულტურულ სიმდიდრეს.

კონფერენციის დელეგატები პირობას გაძლევენ თქვენ, რომ დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის, ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიერ აღზრდილი თბილისის კომკავშირის ორგანიზაცია კვლავაც ღირსეულად შეასრულებს ჩვენი მშობლიური ბოლშევიკური პარტიის ერთგული მებრძოლი თანაშემწის როლს.

გაუმარჯოს საბჭოთა ახალგაზრდობას!

გაუმარჯოს ლენინურ-სტალინურ კომკავშირს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას!

დიდება ჩვენს ბრძენ მამას, მეგობარსა და მასწავლებელს — დიდ სტალინს!

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. დ. გ. ხანთაძის სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულად დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ-ში

დაინიშნოს ამხ. დავით გიორგის-ძე ხანთაძე სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულად საქართველოს სსრ-ში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1946 წლის 29 ივნისი. ქ. თბილისი.

## ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტმა შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტმა ვადამდე — 25 ივნისისათვის შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. ქვანახშირის ამოღების ნახევარი წლის დავალება შესრულებულია 100,1 პროცენტით, ხოლო ძირითადი სამთო-კაპიტალური სამუშაოებისა — 130,1 პროცენტით. გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით, ქვანახშირის მოპოვება მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გადიდებულია 30 პროცენტით.

## თავთავიანი მარცვლეულის აღება

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს ცნობებით, 25 ივნისისათვის კოლმეურნეობებში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აღებული იყო 4.695 ჰექტარზე, შარშან ამავე დროისათვის აღებული 3.140 ჰექტარის ნაცვლად.

ლაგოდეხის რაიონში მოსავალი აღებულია 1.812 ჰექტარზე, ყვარლის რაიონში — 1.071, გურჯაანის — 76, კასპის — 115, სიღნაღის — 647, წითელწყაროს — 103, ყარაიას — 569, ბორჩალოს — 70, ბოლნისის რაიონში — 232 ჰექტარზე.

## საზღვარგარეთელ სომეხთა პირველი ჯგუფი ჩამოვიდა საბჭოთა სომხეთში

ბათუმი, 29 ივნისი. (საქინფორმი). 27 ივნისს ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა თბომავალი „ტრანსილვანია". ამ გემით ჩამოვიდა საზღვარგარეთელ სომეხთა ჯგუფი, რომლებიც ბეირუთიდან და დამასკოდან თავიანთ სამშობლო საბჭოთა სომხეთში ბრუნდებიან. ჩამოსულთა შორის არიან სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზღვარგარეთელ სომეხთა მიღება-მოწყობის კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ასტვაცატურიანი, სომხეთის სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ი. მათევოსოვი, რესპუბლიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები, გაზეთების კორესპონდენტები. ბათუმის ნავსადგურში გემის მოახლოებისას დიდძალი ხალხი შეიკრიბა: ერევნიდან და სხვა ქალაქებიდან თავიანთ ნათესავებთან შესახვედრად ჩამოსულნი, აგრეთვე ბათუმის მცხოვრებლები.

„ტრანსილვანია" გემმისაბმელს უახლოვდება. მგზავრებით—ახალი საბჭოთა მოქალაქეებით სავსეა გემბანი. ახალგაზრდობის ჯგუფს ზემო გემბანზე უჭირავს ალისფერი დროშა ი. ბ. სტალინის პორტრეტით. დროშას აქვს წარწერა: „მადლობა ჩვენს მამას —სტალინს". გემის მოახლოების მომენტში გაისმის ტაშის გრიალი. შემდეგ ყველანი მღერიან სომხურ ენაზე საბჭოთა კავშირის ჰიმნს და სომხეთის სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნს. საბჭოთა მიწა-წყალზე პირველი ჩამოდის ახალგაზრდა ქალი კნარიკ ექიმიანი. მასთან არიან სამი წლის გოგონა ანი და ერთი წლის ვაჟი იკი. მისი ქმარი კარაპეტ ექიმიანი—თურქეთის სომხეთის მკვიდრი, სამშობლოდან გაძევებული ჭაბუკობიდანვე უცხო ქვეყნებში დაეხეტებოდა. ახლა თავის საბჭოთა სამშობლოში ბრუნდება.

პირველ ჯგუფში 1.806 კაცი ჩამოვიდა.

ბათუმის ნავსადგურში მოსვლის დღეს ჩამოსულებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს საბჭოთა ხალხის ბელადს ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

## ს ტ ა ლ ი ნ უ რ ი  პ რ ე მ ი ი ს  ლ ა უ რ ე ა ტ ე ბ ი



ა. ხორავა



ქ. სარხანია



ი. ნიკოლაძე



ა. ვასაძე



გ. დავითაშვილი



ჩ. ქვახაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ამა წლის 26 ივნისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ნ. მ. შვერნიკის თავმჯდომარეობით შესდგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეთა, რომელნიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები არიან, და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობით.

პრეზიდიუმმა განიხილა შემდეგი საკითხები: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის მოწვევის შესახებ; „ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებასთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ" ბრძანებულების რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის მუშაკებზე გავრცელების შესახებ; მოკავშირე რესპუბლიკათა რიცხვის გადიდებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო ღერბის გამოსახულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ; ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების შესრულების შესახებ; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიათა დოკუმენტებისა და მასალების შენახვის წესის შესახებ.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი სესია მოწვეულ იქნას 1946 წლის 20 სექტემბერს ქალაქ მოსკოვში.

მეორე საკითხზე პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ი. ტ. გოლიაკოვის წარდგინება და მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 7 ივლისის ბრძანებულება „ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებასთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ" გავრცელდეს რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის იმ მუშაკებზე, რომლებიც მსჯავრდადებული არიან ომიანობის დროის პერიოდში, გადადებული აქვთ განაჩენის სისრულეში მოყვანა და სამუშაოდ გაგზავნილი არიან ტრანსპორტზე. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ეს პირნი განთავისუფლებული არიან შემდგომი სასჯელისაგან და ეხსნებათ ნასამართლობა.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე პრეზიდიუმმა დაადგინა სსრ კავშირის სახელმწიფო ღერბს, სსრ კავშირის კონსტიტუციის 13 და 143 მუხლების შესაბამისად, გაუკეთდეს წარწერა აგრეთვე ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთისა და კარელია-ფინეთის მოკავშირე რესპუბლიკათა ენებზე.

„ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის" საპატიო წოდების, „სახელოვანი დედის" ორდენისა და „დედობის მედლის" დაწესების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების შესრულების საკითხზე პრეზიდიუმმა მოისმინა და განიხილა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ამხ. ა. გ. ზვერევის, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ამხ. გ. ა. მიტერევის, სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის ამხ. ა. ვ. ლიუბიმოვისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ამხ. ა. თ. გორკინის მოხსენებანი.

მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების მიცემის ახალი წესის შედეგად, რაც ბრძანებულებით არის დადგენილი, მნიშვნელოვნად გაიზარდა რიცხვი იმ დედებისა, რომლებიც სახელმწიფო დახმარებას იღებენ, და გადიდდა გასაცემი დახმარების ოდენობა. 1944 წლის 8 ივლისიდან 1946 წლის 1 აპრილამდე სახელმწიფო დახმარება დაენიშნა 1.863 ათას მრავალშვილიან და მარტოხელა დედას და ამ ხნის განმავლობაში გაცემულ იქნა 3,2 მილიარდ მანეთზე მეტი დახმარება. 1945 წლის განმავლობაში დედებს მიეცათ 2.089 მილიონი მანეთი დახმარება, 1940 წელს კი გაცემულ იყო 1.228 მილიონი მანეთი. 1946 წელს იმ დედების რიცხვი, რომლებსაც სახელმწიფო დახმარება უნდა მიეცეთ, გაიზრდება 3.400 ათასამდე, ხოლო დახმარების თანხა 4 მილიარდ მანეთზე მეტს შეადგენს. 1944 წლის 8 ივლისიდან 1946 წლის 1 იანვრამდე ახლად გაიხსნა ორი ათასზე მეტი საბავშვო კონსულტაცია, სამშობიარო სახლებში საწოლების რიცხვი გაიზარდა 25 ათასით, ადგილების რაოდენობა საბავშვო ბაგებში—60 ათასით და საბავშვო სახლებში—16 ათასით. ბრძანებულების გამოცემის დროიდან „გმირი დედის" საპატიო წოდება მიენიჭა 11.138 დედას; „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლით" დაჯილდოებულია 1.141.684 დედა.

პრეზიდიუმმა ამასთან ერთად აღნიშნა ნაკლოვანებანი 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელების საქმეში. დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის საქმეთა განხილვის, აგრეთვე დახმარების გაცემის დროს ჯერ კიდევ აქვს ადგილი დაყოვნების ფაქტებს. სამშობიარო სახლებისა და საბავშვო დაწესებულებების ქსელის გაშლის გეგმა ბევრგან არ სრულდება. არადამაკმაყოფილებელია საუწყებო საბავშვო ბაგების მშენებლობის საქმე, განსაკუთრებით ქიმიური, სატყეო და საფეიქრო მრეწველობის, კავშირგაბმულობისა და სამდინარო ფლოტის სამინისტროების ხაზით. დღემდე განთავისუფლებული არ არის საბავშვო დაწესებულებათა და სამშობიარო სახლთა შენობების მნიშვნელოვანი რაოდენობა, ხოლო არსებულ შენობებს ესაჭიროებათ რემონტი, მოწყობილობა და ინვენტარით მომარაგება. მთელ რიგ ადგილებში არ იცავენ იმ პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის ნორმებსა და ასორტიმენტს, რომლებიც საბავშვო დაწესებულებებსა და დედებს უნდა მიეცეთ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ფინანსთა სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და ვაჭრობის სამინისტროს, აგრეთვე ადგილობრივ საბჭოებს მოსთხოვა აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი და მთლიანად განახორციელონ 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დაავალა მოისმინონ სათანადო რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მოხსენებანი მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების მიცემისა და დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა მათ მიერ შესრულების შესახებ.

პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიათა მასალების დაცვის წესის შესახებ და განიხილა ბელორუსიის, ლიტვისა და ყაზახეთის სს რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების წარდგინებანი საერთო-საკავშირო კანონმდებლობიდან გამომდინარე ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ ქორწინების, ოჯახისა და მეურვეობის კანონთა კოდექსებში და ამ რესპუბლიკათა ტერიტორიაზე მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში.

## უკანასკნელი ცნობები

### უ შ ი შ რ ო ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო შ ი

**ნიუ-იორკი**, 27 ივნისი. (საკდესი). გუშინ შესდგა უშიშროების საბჭოს სხდომა. ექვსი საათის ცხარე კამათის შემდეგ საბოლოოდ მოწონებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც წინადადებას იძლევა დატოვებულ იქნას ესპანეთის საკითხი საბჭოს დღის წესრიგში „იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს ისეთი ზომების ძიება, რომლებიც შესაძლოა საჭირო აღმოჩნდეს მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის". უარყოფილ იქნა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის წინადადება იმის შესახებ, რომ უშიშროების საბჭომ კვლავ აღძრას ესპანეთის საკითხი 1 სექტემბრამდე. რამდენადაც საბჭოთა კავშირმა წინააღმდეგ მისცა ხმა, საბჭომ უარჰყო ფრაზა იმის შესახებ, რომ საბჭოს დღის წესრიგში საკითხის დატოვება არ ბღალავს გენერალური ასამბლეის უფლებებს.

ამ უკანასკნელმა წინადადებამ ფართო მსჯელობა გამოიწვია საბჭოში, ვინაიდან ინგლისის და ამერიკის დელეგატებს დაჟინებით სურდათ შეეტანათ ეს ფრაზა, რომელიც ასახავს იმის სურვილს, რომ მთელი საკითხი განსახილველად გადაეცეს გენერალურ ასამბლეას. დისკუსიის დროს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჯონსონმა გულახდილად განაცხადა, რომ მისთვის სულ ერთია, დარჩება თუ არა საკითხი საბჭოს დღის წესრიგში, ოღონდ გენერალურმა ასამბლეამ ამ საკითხის განხილვის სრული თავისუფლება შეინარჩუნოსო. 9 კაცმა ხმა მისცა ამ წინადადებას; საბჭოთა კავშირმა წინააღმდეგ მისცა ხმა და პოლონეთმა თავი შეიკავა. წინადადება უარყოფილ იქნა იმის შედეგად, რომ გრომიკომ წინააღმდეგ მისცა ხმა. განხილვის მსვლელობაში ევატი და ვან კლეფენსი აკრიტიკებდნენ წესდების იმ პუნქტს, რომელიც შეეხება ვეტოს უფლებას, რაზედაც დამყარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

### დე მიკოლა არჩეულია იტალიის სახელმწიფოს დროებით მეთაურად

**რომი**, 28 ივნისი. (საკდესი). ქრისტიანულ დემოკრატიული პარტიის, სოციალისტური და კომუნისტური პარტიების საპარლამენტო ჯგუფებმა წამოაყენეს ენრიკო დე მიკოლას კანდიდატურა სახელმწიფოს დროებითი მეთაურის პოსტზე.

**რომი**, 28 ივნისი. (საკდესი). იტალიის სახელმწიფოს დროებით მეთაურად არჩეულია დე მიკოლა, რომელმაც 396 ხმა მიიღო 504-დან.

### ინგლისის სასურსათო საქმეთა მინისტრის განცხადება ინგლისში პურის ნორმების მომავალი შემოღების შესახებ

**ლონდონი**, 28 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 21 ივლისიდან ინგლისში შემოღებული იქნება პურისა და ფქვილის რაციონირება. ინგლისის სასურსათო საქმეთა მინისტრმა ჯონ სტრეჩიმ გუშინ თემთა პალატაში გამოაქვეყნა მთავრობის ეს გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ პურის ყოველდღიური ნორმები შემდეგი იქნება: 9 უნცია (1 უნცია უდრის 28,35 გრამს) მოზრდილთათვის, 15 უნცია ფიზიკური შრომის მუშაკ მამაკაცთათვის; 11 უნცია ორსულ და ფიზიკურად მომუშავე ქალთათვის; 12 უნცია 11-18 წლის მოზარდთათვის.

# ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება ახალ ხუთწლედში*

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული მოხმარების საგნების წარმოების ზრდის დიდი მასშტაბის შედეგად შესაძლებელი გახდება საქონელბრუნვის მნიშვნელოვნად გადიდება და უკვე ხუთწლედის პირველ ნახევარში ნორმირებული მომარაგებიდან გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა. პურის, ფქვილის, ბურღულისა და მაკარონის ნაწარმის საბარათო სისტემა უნდა გაუქმდეს უკვე 1946 წლის შემოდგომიდან. დანარჩენი საქონლის ბარათები უნდა გაუქმდეს 1947 წელს.

სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 1950 წელს გადიდდება 275 მილიარდ მანეთამდე (შემცირებული ფასებით 1945 წლის დონესთან შედარებით), რაც შესადარებელ ფასებში 28 პროცენტით გადააჭარბებს 1940 წლის საქონელბრუნვის მოცულობას. სამრეწველო საქონელთა საბაზრო ფონდები 1950 წელს უნდა გაიზარდოს 36 პროცენტით, ხოლო სასურსათო საქონელთა საბაზრო ფონდები—23 პროცენტით 1940 წლის დონესთან შედარებით.

განთავისუფლებულ რაიონებში ბინების აღსადგენად და საბინაო პირობებისა და ყოფაცხოვრების საერთო გაუმჯობესებისათვის დასახულია უკვე 1946 წელს მოეწყოს ხე-ტყის მასალის, რკინის, ლურსმნის, აგურის, ფანჯრის მინის, სამღებრო და სხვა სამშენებლო მასალის ფართო ვაჭრობა, აგრეთვე საყოფაცხოვრებო და საოჯახო საგნების ვაჭრობა: ავეჯის, ლითონის, მინის, ფაიფურ-ქაშანური ჭურჭლის, სამოვრის, ელექტრომოწყობილობისა და სხვა საგნების ვაჭრობა.

ხუთწლიანი გეგმა დიდ ამოცანებს აკისრებს ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებს. ადგილებზე მასობრივი მასშტაბით უნდა გაჩაღდეს ფართო მოხმარების საქონლის, სამშენებლო მასალებისა და სურსათის წარმოება დეცენტრალიზებული რესურსების, ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. ამისათვის უნდა გაფართოვდეს თვითდამზადება, ნარჩენის გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და პროდუქტების დეცენტრალიზებული შესყიდვა, განვითარდეს საგარეუბნო მეურნეობა და ლორის გასუქება, გამოყენებულ იქნას ადგილობრივი წყალსატევები მეთევზეობის განსავითარებლად, განვითარდეს მეფუტკრეობა, მოსახლეობა უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივი კარტოფილით, ბოსტნეულით, ხორცით, რძით, თევზით, თაფლით, ხილით, კენკრით და მასობრივი მოთხოვნილების საგნებით. ყოველნაირად უნდა განვითარდეს აგრეთვე ადგილებზე სამშენებლო მასალის წარმოება და მოსახლეობისათვის მიყიდვა.

ადგილობრივი მრეწველობისა და ადგილობრივი რესურსების განვითარებისათვის შექმნილია საჭირო პირობები. ხუთწლიანი გეგმის კანონით დაწესებულია, რომ ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მიერ დამზადებული ფართო მოხმარების საგნები მთლიანად რჩება მოკავშირე რესპუბლიკების განკარგულებაში. ეს ხელს შეუწყობს მოკავშირე რესპუბლიკებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების ინიციატივის ზრდას მოხმარების საგნების წარმოების გადიდებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის საკითხებს ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. უნდა ვაწარმოოთ ის, რაც მომხმარებელს ესაჭიროება. ამისათვის ყოველდღიურად უნდა ვადევნოთ თვალყური მოთხოვნილებას და წარმოება უნდა გარდავქმნათ შეცვლილი მოთხოვნილების შესაბამისად. გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო მდარე ხარისხის ან არადამაკმაყოფილებელი ასორტიმენტის პროდუქციის გამოშვებას.

მომხმარებელთა მომსახურების გასაუმჯობესებლად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სავაჭრო ქსელის აღდგენას ქალაქებში და სოფლად, აგრეთვე სავაჭრო ბაზების, საწყობების, საცავების აღდგენას და ქალაქებში სპეციალიზებული მაღაზიების გაფართოებას, ხოლო სოფლად რაიონული უნივერმაღების, სასოფლო-სამეურნეო საჭიროების საქონლის მოვაჭრე მაღაზიების გაფართოებას. მნიშვნელოვნად ფართოვდება საჩაითა ქსელი ქალაქებში, მუშათა დაბებში, რაიონულ ცენტრებში, ტრაქტებზე.

ხუთწლიანი გეგმა ადგილობრივი ორგანიზაციების წინაშე აყენებს საკოლმეურნეო ვაჭრობის შემდგომი განვითარების, საკოლმეურნეო ბაზრების ქსელის აღდგენისა და გაფართოების ამოცანას, რაც სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდას.

V

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის საბინაო პირობებისა და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებას.

ხუთწლიანი გეგმით დასახულია ქალაქებისა და სოფლების აღდგენისა და შემდგომი მშენებლობის უდიდესი პროგრამა. ამასთან ცენტრალური ადგილი დათმობილი აქვს საცხოვრებელი სახლების აღდგენასა და ახალ მშენებლობას. საბინაო მშენებლობის ხაზით კაპიტალური სამუშაოების მოცულობა ხუთწლედის მანძილზე დაწესებულია 42,3 მილიარდი მანეთის ოდენობით ნაცვლად მესამე ხუთწლედის 15,5 მილიარდი მანეთისა და მეორე ხუთწლედის 9,6 მილიარდი მანეთისა.

სახელმწიფო საბინაო მშენებლობის სამუშაოთა პროგრამა ითვალისწინებს 72,3 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემას, ნაცვლად მესამე ხუთწლედის 30 მილიონი კვადრატული მეტრისა და მეორე ხუთწლედის 26,8 მილიონი კვადრატული მეტრისა. გარდა ამისა, მოსახლეობის სახსრებით სახელმწიფო კრედიტის დახმარებით აგებულ უნდა იქნას 12 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ქალაქებში, 3,4 მილიონი საცხოვრებელი სახლი სოფლებში, მათ შორის 2,2 მილიონი სახლი იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს.

სახელმწიფო საბინაო მშენებლობის საერთო მოცულობიდან იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, დასახულია საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნას 33,2 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი იმ 17,9 მილიონი კვადრატული მეტრის დამატებით, რომლებიც უკვე გადაცემულ იქნა საექსპლოატაციოდ ამ რაიონების განთავისუფლების შემდეგ გასული პერიოდის მანძილზე. ჩვენი ქვეყნის დანარჩენ რაიონებში, კერძოდ ურალისა და ციმბირის რაიონებში, რომლებსაც ომის დროს მნიშვნელოვანი რაოდენობის ახალი სამრეწველო საწარმოები შეემატა, დასახულია გადაცემულ იქნას საექსპლოატაციოდ 39,2 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

სახელმწიფო საბინაო მშენებლობის 72,4 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო პროგრამიდან სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა გადასცენ საექსპლოატაციოდ 65 მილიონი კვადრატული მეტრი. წარსულში მთელი რიგი სახალხო კომისარიატები, კერძოდ ყოფილი ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატი, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი და სხვები, სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებას. 1945 წელს საბინაო მშენებლობის წლიური გეგმის შესრულებამ ზოგიერთი სახალხო კომისარიატის ხაზით სულ ბევრი 35-40 პროცენტი შეადგინა. ასეთი მდგომარეობის შეწყნარება აღარ შეიძლება. მუშა-მოსამსახურეთა საბინაო პირობების ძირფესვიანი გაუმჯობესება უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა იმისა, რომ წარმოებაში შეიქმნას მყარი კადრები, მაშასადამე გაიზარდოს მათი კვალიფიკაცია და გადიდდეს შრომის ნაყოფიერება.

ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს ხუთწლიანი გეგმის კანონით გათვალისწინებულ სამეურნეო ორგანიზაციების ძალებით თითო და ორბინიანი სახლების მშენებლობის გაჩაღებას მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის გრძელვადიანი კრედიტის პირობებით. ხუთწლიანი გეგმის კანონი აკისრებს აგრეთვე სამინისტროებს და სამეურნეო ორგანიზაციებს მოვალეობას ჩაატარონ თავიანთ საბინაო ფონდში მუშაობა წყალსადენის, კანალიზაციის მოსაწყობად, ქურებისა და უბნების მოსაკირწყლავად, გასამწვანებლად და გასანათებლად, აგრეთვე აბანოებისა და სამრეცხაოების მოსაწყობად.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საცხოვრებელი ფონდის არა მარტო აღდგენასა და გაფართოებას, არამედ იმასაც, რომ მოსახლეობა უზრუნველყოფილ იქნას მოხერხებული, მყუდრო და ლამაზი ბინებით, აგრეთვე გაუმჯობესდეს გასაშენებელი უბნების შინა დაგეგმვა და კეთილმოწყობა.

კომუნალური მშენებლობის პროგრამა დადგენილია 6,1 მილიარდი მანეთის ოდენობით და ნავარაუდევია არა მარტო დანგრეულ კომუნალურ ნაგებობათა აღსადგენად, არამედ კომუნალური მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ ახალწყალსადენთა ასაგებად 16 ქალაქში, კანალიზაციისა—13 ქალაქში, ტრამვაისა—8 ქალაქში, ტროლეიბუსისა—20 ქალაქში. ჩვენი ქალაქები ახალი ტიპის კომფორტაბელურ უხმაურო და სწრაფმავალ ტრამვაის ვაგონებს მიიღებენ, რომლებიც არ ჩამორჩებიან უკანასკნელ ამერიკულ ნიმუშებს, მიიღებენ აგრეთვე კომფორტაბელურ და სწრაფმავალ ტროლეიბუსებს და სხვ. დიდი სამუშაოები ჩატარდება ქალაქების გაზიფიკაციისათვის განსაკუთრებით მოსკოვისა — სარატოვის გაზის ბაზაზე, ლენინგრადისა — ესტონეთის სს რესპუბლიკის და ლენინგრადის ოლქის ფიქალის ბუდობის ბაზაზე, კიევისა — დაშევის გაზის საბადოს ბაზაზე. გაგრძელდება მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობა და დაიწყება მეტროპოლიტენის აგება ლენინგრადში.

ჩვენი ქალაქებისა და მუშათა დაბების დაგეგმვამ მთელი მშენებლობა უნდა წარმართოს ეფექტიანი და მიზანშეწონილი გზით, რათა ეს ქალაქები და დაბები უფრო მოხერხებული, მყუდრო და ლამაზი გახდნენ.

VI

საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება უზრუნველყოფს ხალხის კულტურული დონის განუხრელ აღმავლობას. მშვიდობიანი მშენებლობის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი კულტურული რევოლუცია მოხდა. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ჩვენი ქვეყანა შედის კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების აყვავების ახალ ხანაში.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სახელმწიფო ხარჯების უდიდეს ზრდას ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ხაზით. სახელმწიფო ხარჯებმა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემაში კადრების მომზადების დარგში, აგრეთვე სოციალური დაზღვევის ხარჯებმა, გარდა საბინაო და კომუნალური მშენებლობის ხარჯებისა, 1950 წელს უნდა შეადგინოს 106 მილიარდი მანეთი, რაც ნიშნავს 2,6-ჯერ ზრდას 1940 წელთან შედარებით.

პირველხარისხოვანი ამოცანაა სახალხო განათლებისა და კულტურულ დაწესებულებათა ქსელის აღდგენა იმ რაიონებში, რომლებმაც გერმანული ოკუპაცია განიცადეს. გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ამ რაიონებში დაანგრიეს 82 ათასი სკოლა, 334 უმაღლესი სასწავლებელი, კულტურის ყველა კერა და ხალხის შრომით შექმნილი ხელოვნების მრავალრიცხოვანი ძეგლი.

მიმდინარე ხუთწლედში უნდა განხორციელდეს დიდი და პასუხსაგები მუშაობა დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლების ქსელის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის, თეატრების, კლუბების, მასობრივი ბიბლიოთეკების, კინოების აღდგენისა და მნიშვნელოვანი გაფართოებისათვის და სხვ.

დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების რაოდენობა 1950 წელს უნდა გადიდდეს 193 ათასამდე 1940 წლის 190,5 ათასის ნაცვლად, საშუალო სკოლების სამი უფროსი კლასის მოსწავლეთა რაოდენობა ხუთწლედის დამლევს 33 პროცენტით მეტი იქნება ვიდრე 1940 წელს. გარდა ამისა, გათვალისწინებულია მოსწავლეთა რიცხვის დიდი ზრდა მუშა და გლეხი ახალგაზრდობის სკოლებში. ეს სკოლები განკუთვნილია ახალგაზრდობის იმ ნაწილისათვის, რომელსაც ომის და საბჭოთა მთელი რიგი რაიონების დროებითი ოკუპაციის პირობებში არ შეეძლო მიეღო ნორმალური განათლება.

საშუალო სკოლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიზნით საშუალო სკოლას უნდა გაეწიოს ყოველმხრივი დახმარება მატერიალური და სასწავლო ბაზის განმტკიცებასა და გაფართოებაში, მასწავლებელთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლებასა და სკოლაში სწავლის დაყენების გაუმჯობესებაში.

ხუთწლიანი გეგმა დიდ მოთხოვნებს უყენებს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს. მოსწავლეთა რიცხვი უმაღლეს სასწავლებლებში 1950 წელს მიყვანილ უნდა იქნას 674 ათასამდე—13 პროცენტით მეტი იმაზე, რაც 1940 წელს იყო, და ტექნიკუმებში—1.280 ათასამდე—56 პროცენტით მეტი 1940 წელთან შედარებით. ტექნიკუმების მოსწავლეთა რიცხვის უფრო დაჩქარებული ზრდა უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეების რიცხვთან შედარებით მტკიცე საფუძველს უყრის ტექნიკოსთა და ინჟინერთა რაოდენობას შორის იმ არასწორი თანაფარდობის ლიკვიდაციას, რომელიც უკანასკნელ ხანს შეიქმნა სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში.

უმაღლესი სასწავლებლებიდან სპეციალისტების გამოშვება ხუთწლედის განმავლობაში შეადგენს 602 ათასს და სპეციალური საშუალო სასწავლებლებიდან—1.326 ათასს, რაც აღემატება მესამე ხუთწლედში სპეციალისტების გამოშვებას 36 პროცენტით და მეორე ხუთწლედში—94 პროცენტით. გეგმა ითვალისწინებს სპეციალისტების გამოშვების ყველაზე დიდ ზრდას მძიმე მრეწველობისათვის (ქვანახშირის, მეტალურგიული, ნავთის), სოფლის მეურნეობისა და რკინიგზის ტრანსპორტისათვის, აგრეთვე მასწავლებლებისას დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების კადრების მომზადებას ახალი ტექნიკის დარგში.

ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანა—არა მარტო დავეწიოთ, არამედ კიდევაც გავუსწროთ უახლოეს ხანში მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ — მოითხოვს სპეციალისტების მომზადების დარგში უმაღლესი სკოლის მთელი მუშაობის ხარისხის გადაჭრით ამაღლებას და ჩვენი ქვეყნის მოზარდი თაობის სწავლისა და მომზადების მთელი სისტემის მუშაობის გაუმჯობესებას.

ხუთწლიანი გეგმა დიდ პროგრამას ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაცვის განვითარების მხრივ.

1950 წლის დამლევს მოეწყობა 985,3 ათასი საავადმყოფო საწოლი, მათ შორის 691,9 ათასი ქალაქებში ნაცვლად 1940 წლის 531,9 ათასისა (ზრდა 30 პროცენტით) და სოფელ ადგილას—293,4 ათასი, ნაცვლად 1940 წლის 178,5 ათასი საწოლისა (ზრდა 64 პროცენტით). სოფელ ადგილას 293,4 ათასი ადგილით საავადმყოფოთა ქსელის გაფართოება დაუახლოვებს კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას სოფლის მოსახლეობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფექციურ დაავადებასთან ბრძოლას. სანიტარულ ეპიდემიოლოგიურ სადგურთა რიცხვი 1950 წლის დამლევისათვის გაიზრდება 5.944-მდე ნაცვლად 1940 წლის 1.943 სადგურისა. ხუთწლედის დამლევს სსრ კავშირის ყოველ ადმინისტრატიულ რაიონს სულ ცოტა ერთი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური ექნება.

„ორსული ქალების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების განსავითარებლად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სსრ კავშირში დედისა და ბავშვის დაცვის შემდგომ გაუმჯობესებას. ადგილების რიცხვი ქალაქებისა და სოფლების მუდმივ ბაგებში გაიზრდება 1940 წლის 859,2 ათასიდან 1.251 ათასამდე 1950 წელს (ზრდა 46 პროცენტით). სოფელ ადგილას მუდმივი და სეზონური ბაგები მასობრივი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების პერიოდში შესძლებენ მომსახურება გაუწიონ 3 წლამდე ასაკის ხუთ მილიონზე მეტ ბავშვს. დასახულია დახმარების დიდი გადიდება ორსული, მშობიარე ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის—13,2 მილიარდ მანეთამდე 1950 წელს, ნაცვლად 1945 წლის 2 მილიარდი მანეთისა.

მუშებს, კოლმეურნეებსა და მოსამსახურეებს ადგილობრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის სანატორიუმებში და საერთო საკავშირო კურორტებზე, სანატორულ-კურორტული მკურნალობის, აგრეთვე დასასვენებელი სახლების გამოყენების უფრო ფართო შესაძლებლობა ეძლევათ. ხუთწლედის დამლევს აღდგენილ იქნება სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ოკუპირებული იყო, ხოლო აღმოსავლეთ რაიონებში გაიხსნება ახალი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. 1950 წელს ექიმთა რაოდენობა (სამხედრო უწყების ჩაუთვლელად) 1940 წელთან შედარებით 40 პროცენტით გაიზრდება, რაც ათჯერ და უფრო მეტად გადააჭარბებს ექიმთა რიცხვს 1913 წელთან შედარებით.

1950 წელს დამზადდება 1.200 მილიონი მანეთის მედიკამენტები, სამედიცინო ინსტრუმენტები და მოწყობილობა, ე. ი. 85 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს. მკვეთრად გაიზრდება უახლეს შემოწმებულ სამედიცინო საშუალებათა წარმოება, გადიდდება სამკურნალო დაწესებულებათა აღჭურვა უახლესი ოპტიკური და ელექტროსამედიცინო აპარატურით.

* * *

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონში დასახულია ამოცანა: „უზრუნველყოფილ იქნას მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ყოველმხრივი ჩაბმა ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე, რათა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმა შესრულდეს არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც".

სოციალისტური შეჯიბრების განვითარება ხელს შეუწყობს იმას, რომ გამონახულ იქნას ახალი საშუალებანი, აღმოჩნდეს ახალი რეზერვები, რათა აწრაფად წავწიოთ წინ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა და კულტურა.

„ჩვენი ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ ხუთწლიანი გეგმა მიიღეს, როგორც საბრძოლო პროგრამა, რომელიც მათს სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ საბჭოთა ადამიანები კომუნისტური პარტიის მეთაურობით არ დაიშურებენ ძალებსა და შრომას იმისათვის, რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ ახალი ხუთწლედი". (სტალინი).

კაპიტალისტური ქვეყნების საწინააღმდეგოდ, სადაც ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო უმუშევრობის ზრდა, ხელფასის შემცირება და მატულობს ახალი ეკონომიური კრიზისის საფრთხე, საბჭოთა კავშირმა არ იცის თუ რა არის კრიზისი, ან უმუშევრობა და შედის მძლავრი ეკონომიური აღმავლობისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის ახალ ხანაში. ამით თავს იჩენს მეურნეობის სოციალისტური სისტემის როგორც მეურნეობის ყველაზე მოწინავე და პროგრესული სისტემის ძირითადი უპირატესობა.

ვ. კოსიაჩენკო

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 128

## პარტიული ცხოვრება

# მოწინავე უბნის კომუნისტები

კომუნისტებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის იმ უბნის წარმატებაში, რომელსაც პ. ნანიკაშვილი ხელმძღვანელობს. უბანმა ნახევარი წლის დავალება ხუთ თვეში გაანალდა. გეგმის გადამეტებით აქ ყოველდღიურად 125-130 ტონა ქვანახშირს იღებენ. სანგრევებში 27 კომუნისტი მუშაობს. პარტიულ ორგანიზაციას სწორად ჰყავს ძალები განაწილებული—კომუნისტები მუშაობენ იქ, სადაც წყდება გეგმების შესრულების ბედი.

კომუნისტი, სამთო ტექნიკოსი პ. ნანიკაშვილი 16 წელია უბნის უფროსად მუშაობს. ის განუწყვეტლივ ზრდის ახალ კადრებს, ხელს უწყობს მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას. ამიტომაც უბანი მთლიანად სემიოვლოსურია. თვითეული მნგრეველი 3-4 სანგრევს უწევს მომსახურებას, რაც დიდად უწყობს ხელს როგორც ქვანახშირის მოპოვების ზრდას, ისე მოსამზადებელი სამუშაოების დავალებათა გადაჭარბებით შესრულებას.

უბნის უფროსი ამავე დროს აგიტატორიცაა. ის ყოველდღე ატარებს საუბრებს მეშახტეთა შორის. მისი უბნის ყველა მეშახტე კარგად ერკვევა მეოთხე სტალინური ხუთწლედის დიად ამოცანებში. ამან ხელი შეუწყო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

ცვლის უფროსები — კომუნისტები ქ. დალალიშვილი, გ. გაბელაშვილი, ა. ცირეკიძე და უბნის უფროსის მოადგილე ა. კუბლაშვილი კადრის მეშახტეები არიან. თვითეული მათგანი ქვანახშირის მოპოვების ნამდვილი ოსტატია. ყველა ცვლა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. ამას იმით აღწევენ, რომ ცვლებში დანერგილია რიტმული მუშაობა, ყველა დაინტერესებულია წესიერ მდგომარეობაში გადააბაროს სამუშაო ფრონტი მომდევნო ცვლას.

კომუნისტი თ. ნანიკაშვილი ოცი წელია შახტში მუშაობს და დაუფლებულია რამდენიმე პროფესიას. ყოველდღიურად 4-5 სანგრევში მუშაობს. უკვე შესრულებული აქვს 9 თვის გეგმა. ყოველთვის მუშაობის დაწყებისთანავე ის ასწრებს იმდენი ქვანახშირის მონგრევას, რაც მთელ ცვლას ეყოფა გამოსაზიდავად. შემდეგ გადადის მოსამზადებელი სამუშაოების წარმოებაზე. გეგმას იქაც დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ამხ. თ. ნანიკაშვილი ახალი კადრების მზრუნველი აღმზრდელია. მან შარშან 10 ახალ მუშას შეასწავლა ქვანახშირის ნგრევა. მისი ყოფილი მოსწავლეები ახლა სახელოვანი მეშახტეები არიან. მაგალითად, ა. ცირეკიძე დამოუკიდებლად მუშაობს ქვანახშირის სანგრევში, გეგმებს 160-180 პროცენტით ასრულებს. იგი ამას წინათ მიღებულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად.

კადრის მეშახტე თ. ნანიკაშვილი რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადების ავტორიცაა. მისი ინიციატივით მეხუთე ფენის პირველ კვერშლანგში გაიჭრა ახალი წოლხვრელი, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სანგრევის განიავება, შეამოკლა საზიდის მანძილი და უბანს საშუალება მისცა გაეხსნა ახალი სანგრევები.

ოცდახუთი წელია ტყიბულის შახტებში მუშაობს კომუნისტი ა. ქათამაძე. იგი კარგად არის დაუფლებული ქვანახშირის მოპოვების სემიოვლოსურ მეთოდს, ყოველდღიურად 3-4 სანგრევში მუშაობს და გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. შარშან დავალება მან 176 პროცენტით გაანალდა. უკეთესად მუშაობს წელს. მაისის გეგმა 191 პროცენტით შეასრულა, ხოლო ივნისის გეგმა—13 დღეში. ა. ქათამაძე მზრუნველობით ზრდის ახალ კადრებს. მისი მოწაფეები ქ. ხაჭიპერიძე, მ. ნანიკაშვილი, ი. ერაძე გადაჭარბებით ასრულებენ ქვანახშირის ნგრევის ყოველდღიურ გეგმებს. ა. ქათამაძე ბევრი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია.

მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის თავდადებით იბრძვიან მნგრეველები ს. ლაფერაძე და ა. ქვსრაშვილი. ისინი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ უპარტიო მეშახტეებს. ს. ლაფერაძემ მაისის გეგმა 198 პროცენტით შეასრულა. იგი ამავე დროს ცვლის ბრიგადირი და აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია. არჩეულია შახტის პარტბიუროს მდივნის მოადგილედ.

უბნის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ნ. მოსეშვილი მექანიკოსია. ეხმარება მეშახტეებს ქვანახშირის მოპოვების გადიდებისათვის ბრძოლაში, კარგად უვლის მექანიზმებს. მისი ინიციატივით ახლა ქვანახშირის სანგრევ ბურღებს კუმში ჰაერის წნევის გამოყენებით ამუშავებენ, რაც ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

უბანი ჩაება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და წლიური გეგმის 110 პროცენტით შესრულება იკისრა. კომუნისტები ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან, ისინი ყოველდღე გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს.

**დ. ქათამაძე.**

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი



ბათუმის ფეხსაცმლის მეოთხე ფაბრიკა. სტახანოველი ა. კაკაურიძე ამზადებს საძირეებს.



ორთაბათუმის ჩაის ფაბრიკა. სტახანოველი ლ. ლომაძე მუშაობს ჩაის დახარისხებაზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

## სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

# მოწინავენი და ჩამორჩენილნი

**სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო** ქარხანაში უკანასკნელი სამი ხუთდღიურის განმავლობაში დაწინაურდნენ სამჭედლო (საამქროს უფროსი ა. გოგიჩაიშვილი, პარტორგი ა. მარშანია, პროფორგი ვ. გამხუაშვილი) და საბარგო-სავაგონო (უფროსი გ. ბაქრაძე, პარტორგი ო. ვაშაკიძე, პროფორგი ა. გულიევი) საამქროთა კოლექტივები. ამ საამქროებში ახლა არა ჰყავთ არც ერთი ისეთი მუშა, რომელიც გეგმას გადაჭარბებით არ ასრულებდეს.

პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში 25 ივნისისათვის საუკეთესო მაჩვენებლები მოგვცეს მჭედლებს შორის ქ. ილურიძემ (10-დან 25 ივნისამდე ყოველდღიურ დავალებებს ასრულებდა საშუალოდ 400 პროცენტით), ბ. ხარჩილავამ (250 პროცენტი) და ნ. ჩომახიძემ (200 პროცენტი).

ხარატებს შორის მაღალ მაჩვენებლებს იძლევიან მ. მამაგეიშვილი, ს. ზარიძე და მ. ცისკაძე, ზეინკლებს შორის—მ. ჯაბაშვილი და მექვაბეებს შორის—ვლ. მარგიშვილი.

პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში ჩამორჩნენ: ხარატთა შორის—ნ. მელვინიშვილი და ე. პაპინაშვილი, ზეინკლებს შორის—რ. გლუნჩაძე და მღარავებს შორის—ა. ელიოზაშვილი.

**ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში** 25 ივნისისათვის ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ხარატებს შორის ვ. ამირგულოვს (10-დან 25 ივნისამდე ყოველდღიურ დავალებებს საშუალოდ 280 პროცენტით ასრულებდა), ა. ბოლდირევს (240 პროცენტი) და ე. გორას (230 პროცენტი). მჭედლებს შორის მოწინავეები არიან ა. რომელაშვილი, ნ. ბორზუჩენკო და ი. ბროვჩენკო (საშუალო ყოველდღიური შესრულება 280-290 პროცენტი); მეყალიბეებს შორის კარგად მუშაობენ ნ. ციკორიძე, (საშუალო შესრულება 280 პროცენტი) და ე. გრაჩოვი (240 პროცენტი).

ჩამორჩნენ ზეინკლებს შორის ა. საგინაშვილი (ყოველდღიურ დავალებებს საშუალოდ 40 პროცენტით ასრულებს), ხარატებს შორის—ა. ბალდასაროვი (50 პროცენტი), მღარავებს შორის ი. ბურდულაშვილი (75 პროც.) და მჭიდლებს შორის ა. მანუკიანი (36 პროც.).

# ჩაის ფოთლის უხვი მოსავალი

მახარაძელი კოლმეურნეები წელს ჩაის ფოთლის უხვ მოსავალს იღებენ. მაისისა და ივნისის დავალებები ვადამდე 112,8 პროცენტით არის შესრულებული. მოკრეფილია 2.060.839 კილოგრამი ჩაი. ბევრმა კოლმეურნეობამ ივნისის გეგმა 10-15 დღეში შეასრულა. მაგალითად, ვაკიჯვრელებმა 15 დღეში 9.385 კილოგრამის ნაცვლად 10.215 კილოგრამი ჩაი მოჰკრიფეს. გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე სოფელ წითელმთის, ნატანების, ფამფალეთის, შრომის, კონჭკათის, ძიმითის, ჯუმათის, ნაგომრის, თხინვალის, მზიანის, ლაშეს, ექადიის, ჰანიეთის და სხვა კოლმეურნეობებმა.

სოფელ წითელმთის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ე. ჰანიშვილი), სადაც მაისის გეგმა 10 დღეში 144 პროცენტით შესრულდა, ხოლო ივნისისა — 13 დღეში, ახლა ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით ტონობით აბარებენ სახელმწიფოს პირველხარისხოვან ჩაის ფოთოლს. ჩაის 64 მკრეფავიდან 40-ზე მეტი სტახანოველია. მარო და ნათელა ლომჯარიები, ლიდა მიმინოშვილი, ქენია ჭეიშვილი, შუშანა ლომაძე, ელპიტე თოდრაძე, ასინეთ დუმბაძე, ფრიადოსანი მოსწავლეები ლამარა დოლიძე და იზა ლომინაძე დღიურ ნორმებს ერთიორად და მეტად ასრულებენ. კარგად მუშაობენ ეტიფანე დუმბაძისა და შალვა ცისკარიძის ბრიგადები.

სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მ. ორაგველიძე) წელს იბრძვის იმისათვის, რომ გეგმის გადამეტებით ჩააბაროს სახელმწიფოს 100 ტონა ჩაის ფოთოლი და 1 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი. წლიური გეგმით გათვალისწინებული 266 ტონიდან უკვე მოკრეფილია 150 ტონაზე მეტი პირველხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. კოლმეურნეობის თოთხმეტივე ბრიგადას მაისისა და ივნისის დავალება გადამეტებით აქვს შესრულებული. დიდი გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს სანდრო ჯაბუას და ცუცა [illegible] ბრიგადები, სონია ხომერიკის და ზინა გაგუას რგოლები. ყოველდღიურად ჩაის კრეფაზე გამოდის 400-ზე მეტი ქალი და კაცი. ნინო გოგოძე, დოდო ყალიჩავა, ელენე ჩიგოგიძე დღეში ნაცვლად 16 კილოგრამისა 100-200 კილოგრამამდე ფოთოლს ჰკრეფენ.

კარგ შედეგებს აღწევენ სოფელ ძიმითის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. მუხაშავრია) მერგოლეური შუშანა ჩხაიძე, სტახანოველები თამარ ტუღუში, თალიკო ხინთიბიძე, შუშანა ხარატი, დარეჯან სამსონია, ელპიტე გელაძე, ზინა ხარატი, ტასო ტუღუში.

რაიონში დიდი ყურადღება ექცევა ჩაის პლანტაციების გათოხნას. პლანტაციის პირველი თოხნა მთლიანად დამთავრებულია, მეორედ კი 3.000 ჰექტარზე მეტია გათოხნილი. 5.900 ჰექტარზე დამატებით შეტანილია აზოტოვანი სასუქი, ხოლო 2000-მდე ჰექტარზე ფოსფოროვანიც. პლანტაციის როგორც თოხნა, ისე მინერალური სასუქების შეტანა და სხვა სამუშაოები წარმატებით სრულდება ნატანების, გურიანთის, ჯუმათის, შრომის, წითელმთის, მერიის, თხინვალის, კონჭკათის კოლმეურნეობებში.

მახარაძელებს ყველა პირობა აქვთ, რომ წელს მოჰკრიფონ დავალებაზე ბევრად მეტი ჩაის ფოთოლი. ამისათვის საჭიროა ყველა კოლმეურნეობა, ბრიგადა, რგოლი, კოლმეურნე გადაჭარბებით ასრულებდეს გეგმებს. მაგრამ ეს ასე როდია. ჩაის ფოთლის კრეფაში ჩამორჩნენ სოფელ განახლებისა და ნაღობილევის კოლმეურნეობები.

მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა ჩამორჩენილთ, მივიღოთ ყველა ზომა იმისათვის, რომ ისინი გაუთანასწორდნენ მოწინავეებს.

**ტ. თოდრაძე**

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

## ჩაის ფოთლის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

25 ივნისისათვის თვიური გეგმა გონიოს ჩაის საბჭოთა მეურნეობას შესრულებული ჰქონდა 116,7 პროცენტით, ოჩხამურისას—126, ნატანებისას—175, ჩაქვისას—111,4, სალიბაურისას—100, ცეცხლაურისას—88,4, ლაითურისას—93,1, ნასაკირალისას — 80,3, წულუკიძისას—50, დიდიჭყონისას—45, ლესიჭინისას — 65,5, ინგირისას—62,5, ნარაზენისას—60, ხეცერისას—58,3, წალენჯიხისას—50, აჩიგვარისას—58,6, მოქვისას—55, ხოლო აჭარის ჩაის ტექნიკუმს—200 პროცენტით.

მოკრეფილი ჩაის ფოთლიდან 92,9 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

## პარტიული ქრონიკა

### ლექციები მასწავლებლებისათვის

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომმა მეოთხე ხუთწლიანი გეგმის კანონის შესწავლის მიზნით, სპეციალურად, რაიონის პედაგოგებისათვის ჩაატარა 6 ლექცია.

ლექციებს კითხულობდნენ პროფესორი ს. ბერიძე, დოცენტები სიმონგულოვი და ი. ასათიანი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლექტორები ქ. ანთიძე და ა. კაკულია.

ლექციების დამთავრების შემდეგ მოეწყო თეორიული საუბარი თემაზე: „ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები და საქართველოს ეკონომიკა მეოთხე ხუთწლედში".

### პროპაგანდისტთა ჯგუფი

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტორგანიზაციის ბიურომ გამოჰყო ჯგუფი პროპაგანდისტებისა, რომლებიც სისტემატურად ატარებენ ლექციებს სხვადასხვა საკითხებზე. პროპაგანდისტმა ი. შანიძემ ამასწინათ ჩაატარა ლექცია თემაზე: „ახალი ხუთწლიანი გეგმის ამოცანები", ინჟინერმა ვ. ლაბარტყავამ—„აბრეშუმის მრეწველობა და თვითღირებულების შემცირება", ქიმიკოსმა ვ. ჩიქოვანმა—„ატომური ენერგია".

## გეგმების შესრულება

○ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ბერიას სახელობის მაღაროს კოლექტივმა ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 25 ივნისისათვის.

○ თბილისის ნახშირმჟავა გაზის ქარხანა (დირექტორი ნ. ჯმუხაძე), რომელიც თავისი პროდუქციით ამარაგებს როგორც საქართველოს, ისე მოკავშირე რესპუბლიკების მრავალ საწარმოს, წელს წარმატებით ასრულებს დავალებებს. 26 ივნისისათვის ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით გაანალდა თვიური საწარმოო გეგმა.

○ თბილისის ქაღალდის ფაბრიკამ ვადამდე შეასრულა 1946 წლის პირველი ნახევრის საწარმოო გეგმა. განვლილ 6 თვეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 200 ტონა ქაღალდი.

○ მახარაძის აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკის კოლექტივმა ნახევარი წლის გეგმა ოთხი დღით ადრე—26 ივნისისათვის შეასრულა. გეგმის გადამეტებით დამზადებულია 830 კილოგრამი აბრეშუმის მაღალხარისხოვანი ძაფი. ივნისის მეორე დეკადიდან ფაბრიკა აბრეშუმის პარკის ახალ მოსავალს ამუშავებს და ყოველდღიურ დავალებას 105 პროცენტით ასრულებს.

○ წულუკიძის აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკის მუშათა კოლექტივმა ნახევარი წლის გეგმა 26 ივნისისათვის 101,5 პროცენტით შეასრულა. 17.900 კილოგრამის ნაცვლად ამოხვეულია 17.960 კილოგრამი აბრეშუმის ძაფი.

## საანეულო ხვნა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს 25 ივნისის ცნობებით)

| რაიონები | გეგმის შესრულება პროცენტობით | რაიონები | გეგმის შესრულება პროცენტობით |
|---|---|---|---|
| ახალქალაქი | 91,9 | გურჯაანი | 51,4 |
| ბოგდანოვკა | 56,9 | კაჰრეთი | 83,7 |
| ახალციხე | 101,1 | სიღნაღი | 100,0 |
| ადიგენი | 57,5 | წითელწყარო | 101,3 |
| ასპინძა | 76,9 | თელავი | 78,0 |
| ხაშური | 37,0 | ახმეტა | 110,0 |
| ქარელი | 84,2 | ყვარელი | 115,0 |
| გორი | 47,9 | თბილისი | 56,8 |
| კასპი | 40,7 | მცხეთა | 201,6 |
| ბორჯომი | 38,0 | ყარაია | 36,0 |
| წალკა | 5,7 | ბორჩალო | 56,5 |
| დუშეთი | 36,7 | ბოლნისი | 73,4 |
| თეთრი წყარო | 72,2 | საგარეჯო | 46,8 |
| თიანეთი | 20,0 | ბაშკიჩეთი | 9,5 |

# ანასტასია ერისთავ-ხოშტარია

## (სამწერლო მოღვაწეობის 60 წელი)

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის დიდი ლიტერატურული სკოლის ტრადიციებზე აღიზარდა. მისი შემოქმედების სათავე მეცხრამეტე საუკუნის ქართული კლასიკური პროზაა. დიდი დამსახურება, რაც მას ქართული მწერლობის წინაშე მიუძღვის, ისაა, რომ ჩვენი პროზის ეს ბრწყინვალე ტრადიცია წინ წასწია, განავითარა და ისე მოგვევლინა როგორც დამოუკიდებელი და ორიგინალური მხატვარი ჩვენი ყოფისა.

ღრმა სოციალური ცვლილებებისა და დიდი გარდატეხების ეპოქაში მომზადდა და გაიშალა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას შემოქმედება. ეს არის ოთხმოცდაათიანი - ცხრაასიანი წლების ღირსშესანიშნავი ხანა, როცა რევოლუციური მოძრაობის ასპარეზზე გამოსულმა პროლეტარიატმა მარქსიზმის დროშა აღმართა და მომავალი ბრძოლებისათვის მზადებას შეუდგა. ჩვენი მხცოვანი მწერალი ქალი ერთი იმ ბედნიერ ადამიანთაგანია, რომელიც პროლეტარიატის ბრძოლას ნათლობას დაესწრო, მის დევგმირულ საბრძოლო გზას გაჰყვა და გამარჯვებული საბჭოთა ხალხის ბედნიერებასაც შეესწრო.

* * *

ანასტასია ერისთავი დაბადებულა 1868 წელს ქალაქ გორში. მშობლებს იგი აღსაზრდელად მიუბარებიათ ბებიისა და ბაბუისათვის ზემო ქართლის სოფელ ფცაში. მომავალი მწერალი ბავშვობიდანვე ხალხში ტრიალებდა. აქ გაეცნო საფუძვლიანად გლეხის ცხოვრებას და შემდეგ ნახული და ბავშვის მიერ განცდილი შთაბეჭდილებანი გააცოცხლა მხატვრული სიტყვით.

1881 წელს ანასტასია ერისთავი გორის ქალთა პროგიმნაზიაში მიაბარეს. აქ მისი მასწავლებელი იყო რევოლუციონერი-ხალხოსანი მიხეილ ყიფიანი, ხოლო მის შემდეგ — ცნობილი მწერალი ნიკო ლომოური. 1885 წელს, გორის პროგიმნაზიის დასრულების შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა სოფელ ფცას, შეაგროვა სოფლის ბავშვები და მათთვის სკოლა გახსნა. სოფლად ზრუნავდა არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ გლეხობისთვისაც, განსაკუთრებით დაბეჩავებული და უუფლებო ქალებისათვის. ანასტასია ერისთავი სოფლის ხალხის ნამდვილი მზრუნველი და მასწავლებელი იყო.

1893 წელს სოფელ ფცას ესტუმრა დიდი პოეტი აკაკი წერეთელი. ახალგაზრდა მწერალმა ქალმა მას მოკრძალებითა და შიშით წაუკითხა თავისი ორიგინალური მოთხრობა „ბატონებმა არ დაიწუნეს". აკაკის მოეწონა ეს მოთხრობა, თვითონ წამოიღო იგ თბილისში და დააბეჭდვინა ჟურნალ „კვალის" რედაქციას.

1897 წელს ანასტასია ერისთავი ცოლად გაჰყვა პოეტ დუტუ მეგრელს (დიმიტრი თომას-ძე ხოშტარიას).

ანასტასია ერისთავის პირველი ნაწარმოები, რუსულიდან გადმოთარგმნილი ლეგენდა — „ბესო" დაიბეჭდა 1885 წელს ჟურნალ „ნობათში". ამას მოჰყვა მწერლის ორიგინალური ნაწერები — „ბატონებმა არ დაიწუნეს", „ლაზარემ გადააჭარბა" და სხვ. 1896 წლიდან „მოამბეში" დაიწყო ბეჭდვა მისი ცნობილი რომანისა „მოლიპულ გზაზე". ამ რომანმა დიდი ინტერესი გამოიწვია მკითხველებში, ერთბაშად გახდა მსჯელობის საგანი. აკაკი წერეთელმა 1898 წელს მას სპეციალური წერილი უძღვნა.



* * *

ანასტასია ერისთავის ნაწერების მთავარი თემა რევოლუციამდელი სოფლის ცხოვრებაა. უუფლებო, უმიწაწყლო, მემამულეებისა და მოხელეების მიერ აბუჩად აგდებული, დაბეჩავებული გლეხკაცის ცხოვრება უდიდესი თანაგრძნობით, სიმპატიითა და სიყვარულით დახატა მწერალმა. თავის მოთხრობებსა და რომანებში იგი ცხოვრების ისეთ ცოდნას იჩენს, ისეთი ოსტატობით, მრავალფეროვანი და პოეტური სალებავებით ხატავს სურათს, რომ ისინი ახლაც ინარჩუნებენ დიდ ემოციურობასა და მხატვრულ ეფექტს.

ანასტასია ერისთავის სოციალური ხასიათის მოთხრობებს შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს „მიწა" და „კამისი". მათში ავტორი ამჟღავნებს გლეხის სოციალური ყოფისა და ფსიქოლოგიის შესანიშნავ ცოდნას, ღრმა დაკვირვებისა და მასალის მხატვრულად შეგრძნობის ნიჭს. ჩვენს ხსოვნაში ცოცხლდება სურათი „ერთი ნაჭერი" მიწისთვის მებრძოლი უუფლებო და დაბეჩავებული გლეხკაცისა.

მეტად საინტერესოა მოთხრობა „მიწა". ავტორის აზრით, მიწა გლეხის სიცოცხლისა და სიხარულის, მისი სევდისა და მწუხარების სათავეა. გლეხი მთელი თავისი არსებით მიწასთანაა დაკავშირებული. იგი ცოცხლობს მიწით და მიწისათვის ბრძოლაში ჰკვდება. ამ მხრივ საინტერესოა აღნიშნული მოთხრობის ფინალი. ავტორი მომაკვდავ გლეხს ნინიკას შეახვედრებს მის მკვლელს დათიკას. თავისი დანაშაულით შეწუხებული გლეხი დათიკა ვედრებით მიმართავს ნინიკას: „მაპატიე!... ღმერთია მოწყალე, შენი ცუდი არადროს არ მდომებია!... მარტო ჩემმა სიღარიბემ, სიხარბემ, რომ მეტი ლუკმა წამეგლიჯა ჩემის ბედისაგან, შემამთხვია ეს საშინელი უბედურება... არამედ გადამიქცია ღმერთმა ეს წანაგლეჯი და უფრო მეტად დაამშია ჩემი საწყალი ცოლშვილი... შენ მიდიხარ, ნინიკა, მეც მალე მოგეწევი. შემინდე მე ცოდვილსა და შენც ჩემის მხრივ უფალმა შეგინდოს ყველაფერი და სასუფეველი დაგიმკვიდროს იქ, სადაც მართლები არიან. ეხლა კი ამ მიწამ დაგამშვიდოს და მოგასვენოს"... დაუმატა დათიკამ და მომაკვდავს ჯამით მიწა დააფრქვია გულზე. ხალხმა მძიმედ ამოიოხრა და დარწმუნდა, რომ მიწა თავის ძალას გამოიჩენდა, ნინიკას შვებას აგრძნობინებდა..." ასე სწამდა გლეხს მიწის ძალა.

არანაკლებ საინტერესოა მეორე მოთხრობა „კამისია". აქ ბატონყმობის გაუქმების შემდეგი დროის სოფლის სურათებია აღწერილი. მართალია, ბატონყმობა გაუქმებულია, მაგრამ გლეხი კვლავ მემამულეზეა დამოკიდებული. სწორედ მემამულეებსა და გლეხობას შორის ატეხილ ბრძოლას ასახავს ეს მოთხრობა.

გლეხთა დატანჯული ცხოვრების მიზეზი არა მარტო სოციალური უსამართლობა იყო, არამედ სოფლის ჩამორჩენილობა, ცრუმორწმუნეობა, დახავსებული ტრადიცია და ჩვეულებანი. ანასტასია ერისთავი ამასაც შესანიშნავად ასახავს თავის ნაწარმოებებში. ცრუმორწმუნეობისა და მავნე ტრადიციის მსხვერპლი გახდება, მაგალითად, ირინე („ლაზარემ გადააჭარბა"). ირინეს თავდავიწყებით უყვარდა ზურია, მაგრამ იგი სხვას მიათხოვეს. ანგარიშზე აგებული ოჯახი ცივი აღმოჩნდა. ირინეს ჭირივით ეჯავრება ქმარი „და თუ ცხოვრობდა მასთან მარტო იმისთვის, რომ მეზობლებისა და ხალხისავან ყბადაღებული არ გამხდარიყო, მისი ზნეობისათვის ჩრდილი არ მიეყენებინათ". ყველაფერი ეს გარედან, ძალით თავს მოხვეული შეუღლების შედეგი იყო. ირინეს ტრაგიზმი ავტორს იშვიათი ოსტატობით აქვს გადმოცემული „ვაი ჩემს ბედსა! ვაი ჩემს თავს!... შენი ჭირიმე ზურია, რა პირითღა უნდა შემოგხედო მოღალატემ? ვინღა დაგაჯერებს, რომ არას დროს ჩემს გულში არავინ დაიჭერს შენს ადგილს? ვინღა დაგაჯერებს, რომ ძალდატანებით მათხოვებენ, რომ მე შენი მოღალატე არა ვარ?" ცხოვრებამობეზრებული, შვილის სიკვდილით გაბოროტებული ირინე გადაწყვეტს თავი დაიხრჩოს. ამ დროს ჩნდება ზურია და იხსნის სატრფოს. დაფარული გრძნობა კვლავ იფეთქებს. შეყვარებულები კვლავ უბრუნდებიან ერთმანეთს. მაგრამ ეს ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. სოფლად გვალვა დაიჭირა. გვალვის წინაამღეგ ლაზარობა გაიმართა. ფეხშიშველა ქალები და ახალგაზრდები ხატებით ხელში მდინარეში დახოქილები ევედრებიან ღმერთს, წვიმა მოიყვანეო. წვიმის ნაცვლად სეტყვა და მეხი წამოვა. მეხი ტყეში ხის მოსაჭრელად წასულ ზურიას იმსხვერპლებს. ირინე ჭკუაზე შეიშლება. ასეთია ამ საინტერესო მოთხრობის შინაარსი. მწერალმა გაჰკიცხა, დაჰგმო და აძაგა ცრუმორწმუნეობა, დრომოჭმული ტრადიცია, რომელსაც ადამიანები მსხვერპლად ეწირებოდნენ.

ძველი სოფელი, გლეხკაცის ბედი, მისი მომავლისათვის ზრუნვა—აი საკითხების ის წრე, რომელიც აინტერესებდა მწერალ ქალს. ანასტასია ერისთავ-ხოშტარია არა უბრალო მაყურებლის თვალით აღწერდა სინამდვილეს, არამედ ღრმად განიცდიდა დაჩაგრულთა ბედს, თანაუგრძნობდა და იბრძოდა ხალხის უკეთესი მერმისისათვის.

* * *

ტიპური რომანის პრობლემა ქართული კლასიკური და თანამედროვე პროზის მწვავე პრობლემაა. და თუ ეპიური დარგის ამ ჟანრს თავისი ისტორია მაინც აქვს ქართულ მწერლობაში, ამაში მნიშვნელოვანი წვლილი ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასაც მიუძღვის. ნიჭიერი მწერლის სახელი მას უპირველესად ყოვლისა, რომანებმა მოუპოვეს. ავტორი რომანებისა „მოლიპულ გზაზე" და „ბედის ტრიალი" მუდამ დარჩება ქართულ ლიტერატურაში, როგორც რომანის ნიჭიერი ოსტატი.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას სამწერლო მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა. ეს იშვიათი თარიღია შემოქმედის ცხოვრებაში. 60 წელი დაუღალავად ემსახურა ნიჭიერი ქალი ქართულ მწერლობას, მის ხალხს, მის ეროვნულ კულტურას. ქართული მწერლობა და მადლიერი საბჭოთა ხალხი სიყვარულით აღნიშნავენ ამ თარიღს.

**ნ. ჭილაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ᲝᲗᲮᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ" ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ,** 27 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ საღამოს შესდგა ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის ვიწრო თათბირი. როგორც იუწყებიან, ამ თათბირზე საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა ტრიესტის პრობლემის გადაწყვეტის ორი პროექტი.

ერთი ამ პროექტთაგანი იმაში მდგომარეობს, რომ ტრიესტის რაიონისაგან იქმნება ავტონომიური ოლქი, რომელიც იუგოსლავიის სუვერენიტეტში იმყოფება და არსებობს ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული სტატუტის საფუძველზე. იგივე სახელმწიფოები ახორციელებენ სტატუტის შესრულების მეთვალყურეობას. ოლქში საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს, რომელსაც დემოკრატიულ საფუძვლებზე ირჩევს ოლქის მთელი მოსახლეობა, გუბერნატორს კი იუგოსლავია ნიშნავს. ამრიგად, ამ პროექტს საფუძვლად უდევს ის, რომ ტრიესტის ოლქში საქმეთა მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა იუგოსლავიას ეკისრება.

მეორე პროექტს საფუძვლად უდევს ის, რომ ტრიესტი და მისი მომიჯნავე ტერიტორია გადაქცეულ უნდა იქნას იუგოსლავიისა და იტალიის კონდომინიუმად. ორივე სახელმწიფო ერთად არის პასუხისმგებელი ოლქში საქმეთა მდგომარეობისათვის. აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში დგას ორი გუბერნატორი: ერთი — იუგოსლაველი, მეორე — იტალიელი.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ, რომ კონდომინიუმი წარმოადგენს საერთაშორისო პრაქტიკაში ცნობილ მოვლენას. მაგალითად, საფრანგეთისა და ესპანეთის კონდომინიუმს წარმოადგენს პატარა რესპუბლიკა ანდორა, რომელიც მდებარეობს ამ ორ ქვეყანას შუა და ესპანეთ-საფრანგეთის საერთო სუვერენიტეტში იმყოფება.

დღევანდელი გაზეთები ფართო კომენტარს უძღვნიან საბჭოთა დელეგაციის წინადადებებს, რომელთა მიზანია ყველაზე ძნელი სადავო პრობლემის გადაწყვეტის გაადვილება. პრესის ზოგიერთი ორგანოს მიერ ამ წინადადებათა წინააღმდეგ წამოყენებული მოსაზრებანი სავსებით ხელოვნური და ნაძალადევია და აშკარად ეწინააღმდეგებიან ჭეშმარიტებას.

მაგალითად, ამტკიცებენ, ოთხი მინისტრის კონფერენციაზე სხვა დელეგაციები მტკიცედ მოითხოვენ ეთნიური პრინციპის გამოყენებასო. მაგრამ ფაქტები და ციფრები აქარწყლებენ ამ მტკიცებას. ამერიკული ცნობებითაც კი, როგორც დღეს გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" მიმომხილველი უოლტერ კერი იუწყება, ევრეთწოდებული კომპრომისული ფრანგული ხაზის გატარება იტალიის ფარგლებში სტოვებს 115 ათას სლავ მოსახლეობას. ეს ციფრი, უეჭველია, მნიშვნელოვნად შემცირებულია. აქ რომელი ეთნიურ პრინციპზე შეიძლება ლაპარაკი? ამ პრინციპის დარღვევა ფრანგული ხაზითაც კი განსაკუთრებით ნათლად ჩანს, თუ მივმართავთ სადავო რაიონის ეთნიურ რუკებს. მაგალითად, ეთნიური რუკიდან, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თვით იტალიის პრემიერმინისტრმა დე გასპერიმ წარუდგინა, ცხადად ჩანს, რომ ადრიატიკის სანაპიროს უბანი ტრიესტის ჩრდილოეთით თვით ტრიესტის ოლქამდე (მონფალკონე) მხოლოდ სლავებით არის დასახლებული. მიუხედავად ამისა, ფრანგული ხაზი ამ უბანს იტალიის ხელში სტოვებს. საბჭოთა დელეგაციამ კი წინადადება შეიტანა იტალია-იუგოსლავიის საზღვრის ამ ხაზის ცალკე პუნქტებში, რომელიც საბჭოთა ექსპერტებმა წარადგინეს, შეტანილ იქნას ზოგიერთი შესწორება იტალიის სასარგებლოდ ეთნიური პრინციპის სწორედ უფრო თანმიმდევრულად გატარების მიზნით.

ნაკლებ დამაჯერებელია აგრეთვე ცდები, რომ კონდომინიუმის შესახებ წინადადებას სახელი გაუტეხონ იმ მოსაზრებებით, თითქოს საკითხის ასე გადაწყვეტა ორივე ქვეყანას ერთმანეთს გადაჰკიდებს და მათ შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას ხელს შეუშლის. ასეთი არგუმენტების უაზრობა ცხადია.

იმ დროს, როდესაც ოთხი მინისტრის კონფერენცია ტრიესტის ბედს განიხილავს, გაზეთებს მოჰყავთ ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ეს პრობლემა უაღრესად აღელვებს საზოგადოებრივ აზრს, განსაკუთრებით სლავურ ქვეყნებში.

ბელგრადიდან მიღებული დეპეშა, რომელიც საღამოს პრესაში გამოქვეყნდა, გადმოგვცემს მარშალ ტიტოს სიტყვის შინაარსს. ტიტომ მკვეთრად გააკრიტიკა დე გასპერის შოვინისტური აზრები და აღნიშნა, რომ უკანასკნელი, როგორც ჩანს, ზოგიერთი დიდი სახელმწიფოს მხრივ გამხნევების გავლენით მოქმედებდაო.

დღევანდელი გაზეთები აგრეთვე იუწყებიან, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გაუგზავნა სპეციალური მემორანდუმი ტრიესტის საკითხზე. ამ მემორანდუმში აღნიშნულია, რომ ჩეხოსლოვაკია, ეკონომიური ხასიათის მოსაზრებათა გამო, საჭიროდ სთვლის, რომ ტრიესტი ეკუთვნოდეს იუგოსლავიას როგორც მისი საკუთარი აყვავებისათვის, ისე მთელი ცენტრალური ევროპის სასარგებლოდ და ევროპაში მშვიდობის განსამტკიცებლად.

გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს ვიცე-თავმჯდომარეს მორის ტორეზს მრავალი დეპეშა და რეზოლუცია მისდის იულიის კრაინის ქალაქებიდან და სოფლებიდან. ამ დეპეშებით მოსახლეობა მადლობას უცხადებს ტორეზსა და საფრანგეთის კომპარტიას იუგოსლავიისათვის ტრიესტის დაბრუნების მოთხოვნაში მხარის დაჭერის გამო.

* * *

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დღევანდელ პლენარულ სხდომაზე განხილულ იქნა მნიშვნელოვანი რაოდენობა ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი საკითხებისა, რომლებიც ეხება ბალკანეთის ქვეყნებთან, აგრეთვე იტალიასთან საზავო ხელშეკრულებათა პროექტებს.

მიღებულია გადაწყვეტილება საფრანგეთ-იტალიის საზღვრის საკითხზე, რომელიც დღევანდელი სხდომის დღის წესრიგში შეტანილია საბჭოთა დელეგაციის ინიციატივით. საფრანგეთის ხელში გადამავალ ერთ-ერთ რაიონში — მონსენში არის ჰიდროელექტროდანადგარები, რომლებიც იტალიის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებს აწვდიან დენს. ამ რაიონში არის კამბალი, რომლის დანგრევა წალეკვას უქადის მომიჯნავე იტალიის რაიონების მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებს. მინისტრთა საბჭოს მიერ დანიშნულმა კომიტეტმა, რომელსაც დაევალა განეხილა იმ საჭირო ღონისძიებათა საკითხი, რომლებიც ამ რაიონის საფრანგეთის ხელში გადასვლიდან გამომდინარეობენ, ერთხმად მიიღო საბჭოთა წინადადება მეთვალყურე ფრანგულ-იტალიური კომიტეტის შექმნის შესახებ. მეთვალყურე კომიტეტს მიზნად აქვს უზრუნველყოს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სათანადო დაცვა და მონსენის ელექტროენერგიით იტალიის სამრეწველო საწარმოთა მომარაგება.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ მან დაამთავრა იმ დოკუმენტების შესწავლა, რომლებიც ტენდა-ბრიგის რაიონში საფრანგეთ-იტალიის საზღვრის შესწორებას ეხება, ეს შესწორება დამტკიცდა მინისტრთა საბჭომ.

დღეს გადაწყდა აგრეთვე დოდეკანეზის კუნძულების საკითხი. ბერძნებით დასახლებული ეს კუნძულები თავის დროზე უკანონოდ დაიპყრო იტალიამ. გადაწყდა დოდეკანეზი დაუბრუნდეს საბერძნეთს, ამასთან კუნძულები დემილიტარიზებულ უნდა იქნან და ასეთ მდგომარეობაში დარჩნენ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დოდეკანეზის კუნძულების საკითხში საბჭოთა დელეგაციის პოზიციის შესახებ ინგლისისა და საფრანგეთის პრესის ნაწილი ავრცელებდა ათასგვარ ჭორებს, მიაწერდა მას მოცლილი ჟურნალისტების მონაჩმახ ყოველგვარ „მოთხოვნებსა" და „პრეტენზიებს". ახლა ამგვარ მონაჩმახთა გამომგონნი ერთხელ კიდევ მხილებული არიან, როგორც ანტისაბჭოთა ჭორების მოყვარულნი.

დღევანდელ სხდომაზე მიღებულ იქნა აგრეთვე მთელი რიგი გადაწყვეტილებანი ეკონომიურ საკითხებზე, რომლებიც ეხება რუმინეთისათვის საზავო ხელშეკრულების პროექტს: რუმინეთის მიერ გაერთიანებული ერებისადმი პრეტენზიებზე ხელის აღების შესახებ და სხვ.

განგრძობილ იქნა აგრეთვე დუნაის პრობლემის განხილვა, მაგრამ ამ თემაზე დისკუსია არ დამთავრებულა. გაცხოველებული დისკუსია გაიმართა ამერიკის იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რომ რუმინეთთან საზავო ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას პუნქტი, რომელიც ამ ქვეყანას ავალებს გაერთიანებული ერების ყველა ქვეყნებს მიანიჭოს თანაბარი უფლება სამოქალაქო ავიაციის დარგში უმეტესი ხელშეწყობის პრინციპის საფუძველზე. საბჭოთა მხარემ წინადადება შეიტანა, რომ ეს პუნქტი ამოღებული ყოფილიყო საზავო ხელშეკრულების პროექტიდან. ყველასათვის ცნობილია, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი სამოქალაქო ავიაციასა და ქვეყნის თავდაცვის საქმეს შორის. ქვეყნის სუვერენიტეტის სერიოზული შეზღუდვა იქნებოდა იმის მოთხოვნა, რომ მან თანაბარ საფუძვლებზე მიიღოს ყველა სხვა სახელმწიფოს ავიაცია და თავისი კარი გაუღოს ამ ავიაციას. მცირე ქვეყნის სუვერენიტეტისადმი პატივისცემა მოითხოვს, რომ ამ შემთხვევაში არჩევანი მიეცეს მოცემული ქვეყნის მთავრობას.

ამერიკისა და ინგლისის დელეგაციების მიერ გამოთქმულ საწინააღმდეგო მოსაზრებათა გამო ეს საკითხი ღიად დარჩა.

დღევანდელ სხდომაზე გადაწყდა მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რომ ხვალ დამთავრდეს იმ საკითხთა განხილვა, რომლებიც ეხება ბალკანეთის სახელმწიფოებთან და ფინეთთან ხელშეკრულებებს.

# ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ



27 ივნისს ქვიშხეთში გაიხსნა საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა ბანაკი. **ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ:** პიონერული ხაზი ბანაკის საზეიმოდ გახსნის მომენტში. ტრიბუნაზე არიან დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ა. მურუსიძე, ბანაკის უფროსი ნ. ძაძამია და ბანაკის სამხედრო ხელმძღვანელი გ. ალაძე.

ფოტო რ. აკოფოვისა

## ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ

### ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲡ

ქიტომირელ კოლმეურნეთა მსგავსად, სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ააშენეს საშუალო სკოლა. სკოლასთან არის კლუბი, რომელიც 300 კაცს იტევს.

სკოლებს აშენებენ აგრეთვე სოფელ ჯაფარიძის, ზემო და ქვემო ქედის კოლმეურნეები.

### ᲮᲔᲮᲘᲚᲘᲡ ᲑᲐᲦᲘ, ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ

სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა გააშენა ხეხილის ბაღი. 25 ჰექტარი მიწა შემოკავებულია ცოცხალი ღობით. 5 ჰექტარზე გაშენებულია ხეხილის ბაღი, ხოლო 20 ჰექტარზე—აკაციის ტყე.

კოლმეურნეობამ ააშენა ელექტროსადგური, რომელიც ენერგიას აძლევს ელექტრონწისქვილს, კოლმეურნეობის კანტორას, კოლმეურნეთა ბინებს.

### ᲙᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲯᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ

რაიონში მოეწყო კირისა და გაჯის წარმოება. უკვე გამოშვებულია პირველი 50 ტონა კირი.

მალე დამთავრდება აგრეთვე აგურის და ლიმონათის ქარხნების მშენებლობა.

### ᲥᲣᲩᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ

მიმდინარეობს წითელწყაროს ქუჩების კეთილმოწყობა. დაბას მალე ექნება სწორი, სუფთა, ნარგავებით დამშვენებული ქუჩები. რაიონული ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობენ კოლმეურნეები. აქ ყოველდღიურად 40-50 ურემი მუშაობს. მიმდინარეობს წყალსადენის მშენებლობა, რომელიც 400.000 მანეთი დაჯდება.

### ᲬᲧᲚᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐ ᲨᲘᲠᲐᲥᲨᲘ

შირაქის ვრცელ ტერიტორიაზე წყალი არ არის. აქ წყალს რამდენიმე კილომეტრიდან ეზიდებიან. შირაქში, სადაც მტს-ია მოთავსებული დაიწყო წყლის ძიება. სპეციალისტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ამხ. ზვიადაძე. განზრახულია მიწისქვეშა გაიბურღოს 300 მეტრის სიღრმეზე.

## ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲑᲐᲜᲐᲙᲔᲑᲘ

მეათე დღეა მუშაობს მცხეთაში ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მიერ მოწყობილი პიონერთა ბანაკი. წელს აქ დაისვენებს 720 მოსწავლე. 12 ივნისს ამიერკავკასიის სავზაო კომიტეტმა წაღვერში გახსნა სანატორიული ტიპის პიონერთა ბანაკი, სადაც დასასვენებლად ჩავიდა 320 ბავშვი.

* * *

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საბავშვო ბაღი 1 ივლისიდან აგარაკზე დასასვენებლად გაიყვანს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა 60 ბავშვს. მათთვის თეთრ წყაროში უკვე შერჩეული და მოწყობილია ბინები. აქ საბავშვო ბაღი ორ თვეს დაჰყოფს. ბავშვების ჯანსაღი და კულტურული დასვენების მოსაწყობად საქართველოს სს რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის სამინისტრომ 20 ათასი მანეთი გაიღო.

## ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეში ჩატარდა მოსწავლეთა თვითშემოქმედების საქალაქო ოლიმპიადა.

ოლიმპიადა გაიხსნა ბერიას რაიონის II ქალთა სკოლის მოსწავლეთა გუნდის გამოსვლით. გუნდმა კარგად შეასრულა „სიმღერა სტალინზე", „საბჭოთა საქართველოს ჰიმნი", „დედის სიყვარული" და „სიმღერა ბერიაზე". კარგი იყო აგრეთვე IV ვაჟთა სკოლის გუნდის გამოსვლა.

საუცხოო შთაბეჭდილება დასტოვა ლენინის რაიონის სკოლების მოსწავლეთა ნაკრები გუნდის მიერ შესრულებულმა საზეიმო ცეკვამ.

აღსანიშნავია 26 კომისრის რაიონის 27-ე ქალთა სკოლის მოსწავლეთა გუნდის გამოსვლა მ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით. გუნდმა კარგად შეასრულა „ქართველ მხედრებს". კარგი იყო ამავე რაიონის 38-ე ქალთა სკოლის IV კლასის მოსწავლეთა ფიზკულტურული ვარჯიში. დამსწრეთა ყურადღება მიიპყრო ნავთლუღის საბავშვო სახლის მოსწავლეთა გამოსვლამ. გუნდმა შეასრულა სხვადასხვა სიმღერები ქართულ და რუსულ ენაზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორჯონიკიძის რაიონის VII ქალთა სკოლის გუნდის გამოსვლა VII კლასის მოსწავლე ი. რიბაქიძის ხელმძღვანელობით გუნდმა საუცხოოდ შეასრულა სიმღერები „სტალინს" და „მიპატიჟება სასწავლებელში".

ცალკე შემსრულებელთაგან გამოირჩეოდნენ: პირველი ქალთა სკოლის I კლასის მოსწავლე ჩიქვანიძე, მე-3 ქალთა სკოლის III კლასის მოსწავლე კიმბერგი, მე-2 ქალთა სკოლის X კლასის მოსწავლე ლვინეფაძე, მე-20 ქალთა სკოლის III კლასის მოსწავლეები ლ. კვასხვაძე და ეკალაძე, 36-ე ვაჟთა არასრული საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე ჩაჩავა, რომელმაც წაიკითხა საკუთარი ნაწარმოებები, 23-ე ქალთა სკოლის მოსწავლე ჭავჭავაძე.

საინტერესო იყო 23-ე ქალთა სკოლის მოსწავლეების დების მესხიძეების მიერ შესრულებული სიმღერები „ქართველებო, ვკაფოთ მტერი!" და „გვიხარიან, მამა დაგვიბრუნდება".

VII ქალთა სკოლის II კლასის მოსწავლემ მთვარისა ბერიძემ კარგად შეასრულა უზბეკური ცეკვა, V ქალთა სკოლის X კლასის მოსწავლე ლეილა აბაშიძემ—მხატვრული სტვენა—ინდოელი სტუმრის სიმღერა ოპერა „სადკოდან". საკუთარი ლექსი „სტალინს" წაიკითხა 32-ე ვაჟთა სკოლის X კლასის მოსწავლე მიმინოშვილმა.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა VI ვაჟთა სკოლის VII კლასის მოსწავლე ვ. ტაბატაძემ, რომელმაც შეასრულა ტონიოს არია „ჯამბაზებიდან" და მანრიკოს არია ოპერა „ტრუბადურიდან".

## Ა. Ო. ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ—ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

საქართველოს სსრ ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის მიწათმოქმედებისა და მემცენარეობის კათედრის გამგეს ა. ო. სანიკიძეს, რომელმაც დაიცვა დისერტაცია სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისიის დადგენილებით მიენიჭა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და პროფესორის სამეცნიერო წოდება.

დოქტორი პროფესორი ა. ო. სანიკიძე სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და წარმოების ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეა. იგი საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტში მრავალი წლის მანძილზე ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას. მის კალამს ეკუთვნის ოცდაათზე მეტი მეცნიერული შრომა სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებზე.

## ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲜᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲜ

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფორგანიზაცია გაცხოველებით ემზადება ზაფხულის არდადეგების პერიოდში სტუდენტთა დასვენების მოსაწყობად. ასამდე სტუდენტი გაიგზავნება დასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში. მოეწყობა ექსკურსიები: მოსკოვში, ორჯონიკიძეში და სხვა ქალაქებში. მარტო ექსკურსიების ჩატარებას მოხმარდება 30 ათასამდე მანეთი.

## ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ

### ᲒᲣᲠᲣᲚ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲔᲗᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ

კარგა ხანია არსებობს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი, რომელსაც გურული სიმღერების მცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. სიმონიშვილი ხელმძღვანელობს. გუნდმა მრავალი ახალი სიმღერა მოამზადა. აღსანიშნავია სიმღერები — „25 წლის ვაჟკაცო", „გენერალი ჩანჩიბაძე". ორივე სიმღერის მუსიკა ეკუთვნის გუნდის ხელმძღვანელს სიმონიშვილს. გუნდი ხშირად მართავს საკონცერტო გამოსვლებს რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

### ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ

ჩატარდა ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რაიონის სკოლამ. ოლიმპიადაზე მომზადებული მოვიდნენ შემოქმედის საშუალო სკოლა, ქალაქის პირველი და მეორე ქალთა სკოლები, ბავშვთა სახლი, რუსული საშუალო სკოლა, პედტექნიკუმი, სოფელ ლიხაურისა და ცხემლისხიდის სკოლები.

## Გ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

თბილისის მასწავლებელთა სახლში შესდგა სხდომა სპორტის გამოჩენილი მოღვაწის ცნობილი ალპინისტის, პროფესორ გიორგი ნიკოლაძის გარდაცვალების 15 წლისთავის აღსანიშნავად.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ფარულავამ.

მოხსენება—„პროფესორი გ. ნიკოლაძე, როგორც სპორტის გამოჩენილი მოღვაწე და ქართველთა ალპინიზმის ფუძემდებელი" წაიკითხა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, დოცენტმა ი. ასლანიშვილმა.

მოგონებებით გამოვიდნენ აკადემიკოსი ნ. კეცხოველი, პროფესორი ი. ხარაძე და ნ. კავაძე.

დასასრულ დამსწრეთ უჩვენეს კინოსურათები ალპინიზმის, ტანვარჯიშის, ფეხბურთისა და სპორტის სხვა სახეებიდან.

## ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲨᲘ

ახალ სტალინურ ხუთწლედში რესპუბლიკაში აიგება საბავშვო ბაღის 40 შენობა 4 ... ბავშვისათვის. აქედან თბილისში აიგებენ ... ახალ შენობას, კოჯორში 5-ს. სულ საბავშვო ბაღების მშენებლობაზე 5 წლის განმავლობაში დაიხარჯება 200 მილიონ მანეთზე მეტი.

**3 ივლისს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის სხდომის დარბაზში (ხეთაგუროვის ქ. № 2) მოწვეულია მშრომელთა ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ XXV ᲡᲔᲡᲘᲐ.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
**Გ. ᲜᲐᲜᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

## ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐ

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ,** 27 ივნისი. (საკდესი). გუშინ საღამოს შესდგა დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელზეც მინისტრთა ახალი საბჭოს თავმჯდომარემ ბიდომ გამოაქვეყნა მთავრობის პროგრამა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, რომელშიც ყველა საპარლამენტო ჯგუფის წარმომადგენლები გამოვიდნენ, დამფუძნებელმა კრებამ 517 ხმით 4-ის წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადა ახალ მთავრობას.

ბიდომ განსაზღვრა ახალი მთავრობის პროგრამა.

„უწინარეს ყოვლისა, — სთქვა მან,—ჩვენს წინაშე დაყენებულია გადაუდებელი საკითხი იმ ორგანიზაციების მიერ ჩამოყალიბებულ მოთხოვნათა შესახებ, რომლებიც მუშათა კლასს წარმოადგენენ". ბიდო მოაგონებს სხდომას, რომ მან ახალი მთავრობის შედგენისას ვალდებულება იკისრა, რომ ხელფასს საერთოდ 15 პროცენტით გაადიდებს. უმოკლეს ვადაში, ამბობს შემდეგ ბიდო, მოწვეული იქნება ეკონომიური კონფერენცია დაინტერესებულ მხარეთა პასუხისმგებელი წარმომადგენლების შემადგენლობით. ეს კონფერენცია შეუდგება ხელფასისა და პენსიების განაკვეთების გადასინჯვას. ამავე დროს იგი სერიოზულად გადასინჯავს ფასებს.

თავის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად, სთქვა შემდეგ ბიდომ, ახალი მთავრობა სთვლის სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გადიდებას. გადადის რა ახალი მთავრობის საფინანსო პოლიტიკაზე, ბიდო აცხადებს, რომ მთავრობას განზრახვა აქვს მიიღოს ენერგიული ღონისძიებანი ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად.

შეეხო რა ახალი მთავრობის საგარეო-პოლიტიკურ პროგრამას, პრემიერმა განაცხადა:

„ჩვენ განვაგრძობთ საგარეო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ჩვენი უშიშროების მოთხოვნებს და ჩვენს სურვილს რომ მსოფლიოში ყველგან აღმოფხვრათ აგრესიული ელემენტების ყველა კვალი. ჩვენ განვაგრძობთ იმ დიდ ხალხებთან მეგობრობისა და კავშირის პოლიტიკას, რომლებიც ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ ბრძოლასა და გამარჯვების მიღწევაში".

კამათში გამოსულმა დამფუძნებელი კრების კომუნისტური ჯგუფის თავმჯდომარემ ჟაკ დიუკლომ განაცხადა:

„კომუნისტური პარტია, მიუხედავად მისი მტრების ყველა ღონისძიებისა, ღირსეულად გამოვიდა 2 ივნისის საარჩევნო კამპანიიდან, ვინაიდან მას ხალხში ღრმად აქვს ფესვები გადგმული და უეჭველია, რომ ამიერიდან საფრანგეთის პოლიტიკაში ანგარიში უნდა გაუწიონ ამ პარტიის არსებობას. ბიდომ გაითვალისწინა ეს სინამდვილე. კომუნისტურმა ჯგუფმა, რომელსაც მან დახმარების თხოვნით მიმართა, დაუყენა მას ზუსტი კითხვა და, ამრიგად, სიცხადის ელემენტი შეიტანა მთავრობის შედგენის საქმეში. კომუნისტურმა ჯგუფმა განსაკუთრებით მოითხოვა იმის განმარტება, თუ როგორ აპირებს მთავრობის თავმჯდომარე მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას".

დიუკლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა სწრაფად მოეღოს ბოლო საფრანგეთში არსებულ დროებითს მდგომარეობას და დაჩქარდეს ახალი კონსტიტუციის მიღება, რომელიც „უზრუნველყოფს სოციალურ და ეკონომიურ უფლებებს და შეუძლებელს გახდის პირადი ხელისუფლებისადმი დაბრუნებას".

თავის საბოლოო სიტყვაში ბიდომ დამფუძნებელ კრებას აღუთქვა, რომ არა უგვიანეს უახლოესი სამშაბათისა ახალი მთავრობა დამფუძნებელ კრებას განსახილველად წარუდგენს ხელფასის მომატების კანონის პროექტს.

## ᲚᲔᲥᲪᲘᲐ

**1 ივლისს, საღამოს 8 საათზე,** საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია თემაზე: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

ბილეთების შეძენა შეიძლება პარტკაბინეტში.

## ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

**30 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ:** სახელმწიფო ოპერა — „კაკო ყაჩაღი". **რუსთაველის სახელობის** — „ორი ბატონის მსახური". **მარჯანიშვილის სახელობის** — „მასკარადი". **გრიბოედოვის სახელობის** —„თვითმფრინავი დღე-ღამეს იგვიანებს". **მუსიკალური კომედიის** — „სამი პატარძალი". **სანკულტურის** — „სტუმარ-მასპინძლობა".

## ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

**30 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ: რუსთაველის სახელობის** — „განძთა კუნძული". **ოქტომბერი** — „სიმღერა რუსეთზე". **დამკვრელი (საზაფხულო)** — „ოთხთა გული". (ზამთრის)—„საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ". **კომკავშირელი** (საზაფხულო და ზამთრის) — „ქვის ყვავილი". **სპარტაკი**— „არსენა". **ლუქსემბურგის სახელობის** — „მტრები". **26 კომისრის სახელობის** — (საზაფხულო)—„გაზაფხულის ვალსი", (ზამთრის) —„შვილები".

## ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ

ბუხჰალტერი ცენტრალურ აპარატში სამუშაოდ. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ შემდეგი მისამართით: მთავრობის სახლი, მე-6 სართული, ოთახი № 29, ტელეფონი № 3-89-24, კადრების განყოფილება.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (მთაწმინდა)

30 ივნისს **ᲓᲘᲓᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ**

მონაწილეობენ: **ს. ჯაფარიძე, გ. ხაღარაძე, ვ. ბრაგინი** და სხვები.

კონფერანსიე **პ. კობახიძე** (რესპუბლიკის სახალხო არტისტი)

დასაწყისი საღამოს 9 ს. და 30 წ.

დილით **ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲐ**

პარკი ღიაა დილის 11 საათიდან.

ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების **ცენტრალური პარკი** (ყოფ. მუშტაიდი)

30 ივნისს **სტუდენტთა დიდი სეირნობა 6 საათიდან ფიზკულტურის** მოედანზე: ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებისა და ფიზკულტურის ტექნიკუმის მოსწავლეთა გამოსვლები. სამკითხველოში სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევრის გამოფენა. მასობრივი ცეკვა და თამაში, ბაიანისტები და დუდუკი. **8 საათიდან** — სტუდენტთა საქალაქო კრება, აკადემიკოსების, მწერლებისა და ხელოვნების მუშაკების გამოსვლები.

**კონცერტი** სახელმწიფო თეატრების და სახფილარმონიის საუკეთესო მსახიობების მონაწილეობით.

ღამის 11 ს. და 30 წ. შუშხუნები.

**რუსთაველის სახელობის სახელმწიფო** თეატრალური ინსტიტუტი 1946-47 სასწავლო წლისათვის აწარმოებს მიღებას სამსახიობო, სარეჟისორო და თეატრისმცოდნეობის ფაკულტეტებზე.

ყველა ფაკულტეტზე შემოსვლელთათვის დაწესებულია გამოცდები სპეციალურ საგნებში. არამედალოსნები ამას გარდა აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. სსრკ ხალხთა ისტორიაში, 2. ქართულ და რუსულ ენასა და ლიტერატურაში, 3. საერთო ისტორიაში სარეჟისორო და თეატრისმცოდნეობის ფაკულტეტებზე და 4. ერთ-ერთ უცხო ენაში თეატრისმცოდნეობის ფაკულტეტზე. სარეჟისორო და თეატრისმცოდნეობის ფაკულტეტებზე შემსვლელთ უნდა ჰქონდეთ არანაკლებ 2 წლის შემოქმედებითი ან ორგანიზაციული და პრესაში თანამშრომლობის სტაჟი. წარმატებით მოსწავლე სტუდენტებს ეძლევათ სტიპენდია. რაიონიდან ჩამოსული სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით. სწავლის ფასი 500 მანეთი წელიწადში. განცხადებების მიღება სწარმოებს ა. წ. 20 ივნისიდან, გამოცდები 20 აგვისტოდან. განცხადებასთან წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: 1. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), 2. დაბადების მოწმობა, 3. სამი ფოტოსურათი, 4. პასპორტი (პირადად), 5. ცნობა სამხედრო ბეგარის შესახებ, 6. სტაჟის ცნობა სარეჟისორო და თეატრისმცოდნეობის ფაკულტეტებისათვის.

დაწვრილებითი ცნობები თეატრალური ინსტიტუტის კანცელარიაში, რუსთაველის პროსპექტი № 21, ტელეფონი № 3-64-11, ყოველდღე, კვირა-უქმეებს გარდა, დღის 12-დან 4 საათამდე.

**ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ**

მოქალაქე **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲔᲠᲒᲝᲡ-ᲫᲔ ᲑᲐᲠᲓᲐᲠᲝᲕᲛᲐ,** მცხოვრებმა მახათის ქ. № ... აღძრა საქმე ტოლსტოის ქ. № 19 მცხოვრებ მოქალაქე **ᲜᲘᲜᲝ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ-ᲐᲡᲣᲚ ᲐᲡᲚᲐᲛᲐᲖᲝᲕᲐᲡᲗᲐᲜ** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის 1 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ᲡᲝᲜᲘᲐ ᲫᲘᲢᲔᲡᲐᲡ-ᲐᲡᲣᲚ ᲩᲝᲮᲔᲚᲛᲐ,** მცხოვრებმა დიდი ჯიხაიშის № 83, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ-ᲫᲔ ᲩᲝᲮᲔᲚᲗᲐᲜ** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

ანა შვილებით იუწყება მეუღლის **ნესტორ ალმასხანის-ძე ტიკაძის** გარდაცვალებას. კრძალვა 2/VII, ჩოჩხათში.

თამარ, მაია, პეტრე და გოგო ბუაჩიძეები იუწყებიან **ნატა ტრიფონის-ასულ ბუაჩიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე ... გამოსვენება 2/VII, 6 ს. ბარნოვის, 9.

ნინო კობერიძე შვილებით, იუწყება ... **ზაქარიას-ძე კობერიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 2/VII, ატენის, 8.

ს. ჭელიძისა და კ. თარგამაძის ოჯახები იუწყებიან შალვა ცხოვრებაძის შვილის მერცის გარდაცვალებას.

ვერა ლომთაძე ოჯახით იუწყება ... **ალექსის-ძე ლომთაძის** გარდაცვალებას. კრძალვა 30/VI, ქუთაისში, ცხაკაიას, ...

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 02804